



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ლბტ და სექს-მუშაკ ქალთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

მიმოხილვა

წინამდებარე მიმოხილვა შეეხება ლბტ პირთა და სექს-მუშაკი ქალების, მათ შორის ტრანს სექს-მუშაკი ქალების უფლებრივ და სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოში. წარმოდგენილი დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა” ფარგლებში.

წინამდებარე კვლევა შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საინფორმაციო - სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და კვლევის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

2017 წელი

სარჩევი:

მიმოხილვის სტრუქტურა 3

მიმოხილვაში გამოყენებული ტერმინოლოგია და შემოკლებები 4

შესავალი 7

ლბტ თემი 8

 ლესბი, ბისექსუალი, ტრანსი - განმარტებები და ისტორია..... 9

 ლესბი..... 9

 ბისექსუალი ქალები 10

 ტრანს ქალები..... 11

ლბტ თემი და სამართლებრივი გარემო..... 12

 საქართველოს კანონმდებლობა 12

 საერთაშორისო შეფასება..... 14

ქამინგ-აუთი 16

ლბტ ჯანმრთელობა 17

ლბტ და ძალადობა..... 22

ოჯახში ძალადობა..... 24

სიძულვილის ენა..... 25

ჰომოფობიური გარემო 26

გენდერის სამართლებრივი აღიარება 26

სექს-მუშაკი ქალები და სექს-მუშაკი ტრანსი ქალები 27

პროსტიტუციასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა..... 29

სექს-ბიზნესის სტრუქტურა და სპეციფიკა..... 29

სექს-მუშაკი ქალების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები..... 31

სექს-მუშაკი ქალებისა და ტრანსი ქალი სექს-მუშაკების მიმართ გამოვლენილი სხვადასხვა სახის დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები..... 32

 დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები სამედიცინო მომსახურების მიღებისას 32

დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები სამართალდამცავ სტრუქტურებთან ურთიერთობისას.....	32
დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები საზოგადოების მხრიდან	33
დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები კლიენტის მხრიდან	34
დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები მედია სივრცეში	34
ლბტ, სექს-მუშაკი ქალების და სექს-მუშაკი ტრანსი ქალების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები საქართველოში.....	35
დასკვნითი ნაწილი	37
გამოყენებული ლიტერატურა.....	39

მიმოხილვის სტრუქტურა

წარმოდგენილი მიმოხილვა სტრუქტურირებულია სამიზნე ჯგუფების მიხედვით. შესაბამისად, დოკუმენტში ცალ-ცალკე არის განხილული ლბტ თემი, მისი მდგომარეობა და პრობლემები და სექს-ბიზნესში ჩართული ქალები, მათ შორის ტრანს სექს-მუშაკი ქალები, მათი მდგომარეობა და პრობლემები. მიგვაჩნია, რომ ტრანს სექს-მუშაკი ქალები არის კიდევ უფრო სპეციფიური ჯგუფი, რომელსაც აქვს სპეციფიური საჭიროებები და პრობლემები, გასხვავებით ზოგადად ტრანს ადამიანებისაგან. სწორედ ამის გამო ტრანს ქალებს განვიხილავთ ორ ჭრილში, როგორც ზოგადად ტრანს ადამიანებს და როგორც ტრანს ქალებს, რომლებიც ჩართული არიან სექს-ბიზნესში.

მიმოხილვაში გამოყენებულია სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელთ არსებული კვლევითი და მარეგულირებელი დოკუმენტები. მადლობას ვუხდით ამ ორგანიზაციებს წინამდებარე მიმოხილვისთვის რელევანტური, როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი მასალების გაზიარებისთვის.

მიმოხილვაში გამოყენებული ტერმინოლოგია და შემოკლებები

ანდროგინი [ბერძნ. androgynos – ორსქესოვანი, andros – კაცი და gyne – ქალი) – მესამე სქესი, რომელსაც არ შეიძლება ვუწოდოთ ქალი ან კაცი.

აივ/შიდსი - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი/შემენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

ბისექსუალურობა [ლათ. bis ორჯერადი, sexualis სასქესო, სქესობრივი] – ფართო მნიშვნელობით ორივე სქესისათვის დამახასიათებელი თვისებების ფლობა (ანდროგინია), ვიწრო გაგებით – სქესობრივი ლტოლვა ორივე სქესის წარმომადგენელთა მიმართ.

ბინარული [ფრანგ. binaire] – ორი ნაწილისაგან შემდგარი, ორმაგი.

გენდერი – ქალისა და მამაკაცის სოციალურად კონსტრუირებული როლი, რომელიც მიეწერება მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით.

გენდერქვიარი - ახალი ტერმინი, რომელიც ძირითადად ორნაირად გამოიყენება: 1) როგორც ქოლგა ტერმინი, რომელიც მოიცავს ადმიანებს, რომელთა გენდერიც მიღებული ბინარული სქემის ნორმებისგან განსხვავდება; 2) ინდივიდების ქვეჯგუფის აღსაწერად, რომლებიც ბიოლოგიური ქალები არიან, მაგრამ საკუთარ გენდერულ იდენტობას არც მამრობითად და არც მდედრობითად არ აღიქვამენ.

გენიტალიები [ლათ. genital is დაბადებასთან დაკავშირებული] – სასქესო ორგანოები.

გონადური სქესი - განისაზღვრება სასქესო ჯირკვლების მიერ სპეციფიკური სასქესო ჰორმონების სეკრეტირების უნარით; მამრობითი სქესის ორგანიზმში სათესლეების, ხოლო მდედრობითში - საკვერცხების არსებობით.

სექსუალური დევიაცია – გადახრა სექსუალური ქცევის მისაღები (მოცემული ეთნიკური კულტურის ფარგლებში) ნორმებიდან, როცა სექსუალური აგზნება ან ორგანიზმი მიიღწევა ატიპური ან არსებული კულტურით დაუშვებელი ქმედებების შედეგად.

სოფი - სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ინტერსექსი - ადამიანი, რომელიც დაბადებულია გენიტალიებით, რომლებიც ექსკლუზიურად არც მდედრობით და არც მამრობით სქესს არ განეკუთვნება, ან რომლებიც შეუსაბამოა მის ქრომოსომულ სქესთან; ინტერსექსი არ ითვლება ტრანსგენდერის ქვეკატეგორიად.

კომერციული სექსი ან სექს-ბიზნესი - პროსტიტუცია.

კომერციული სექსის მუშაკი, ან (უფრო თანამედროვე ტერმინი) სექს-მუშაკი - პირი, რომელიც კომერციული სექსის სფეროშია დაკავებული და ამყარებს სქესობრივ კავშირს მატერიალური ანაზღაურების საფასურად.

ლგბტქი - ლესბი, გეი, ბისექსუალი, ტრანს გენდერი, ქვიარ გენდერი, ინტერსექსი - სექსუალურ მრავალფეროვნებათა გაერთიანება.

ლგბტ - ლესბი, გეი, ბისექსუალი (ქალი ან კაცი), ტრანს გენდერი (ტრანს ქალი ან ტრანს კაცი).

ლბტ - ლესბი, ბისექსუალი ქალი, ტრანს გენდერი (ტრანს ქალი ან ტრანს კაცი).

ლესბოსელობა (მომდინარეობს ეგეოსის ზღვაში ბერძნული კუნძულის სახელწოდებიდან; სინონიმები – ლესბოსური სიყვარული, საფიზმი, ტრიბადია) – ქალური ჰომოსექსუალობა.

მამათმავლობა – ჰომოსექსუალობის ნაირსახეობა, რომლის დროსაც სქესობრივი აქტი მყარდება ორ მამაკაცს შორის. იგივე ქმედება ბიჭებთან განისაზღვრება ტერმინით “პედერასტია” (ბერძნულად ნიშნავს “ბიჭების სიყვარულს”).

მასკულინიზაცია [ლათ.masculinus – მამრობითი] – გამამაკაცურება, კაცის ან ქალის ორგანიზმში მამაკაცური ნიშნების გაძლიერება.

მსმ - მამაკაცი, რომელსაც აქვს სექსი მამაკაცთან.

პროსტიტუცია [ლათ.prostitutio – ვარცხვენ, ნამუსს ვხდი] – საკუთარი სხეულის გაყიდვა, სექსი ფულის სანაცვლოდ.

სგგი - სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია.

სექს-მუშაკის კლიენტი - პირი, რომელიც სქესობრივ მომსახურებაში იხდის მატერიალური საფასურს

ტრანსგენდერი — ქოლგა ტერმინი ადამიანებისათვის, ვისი გენდერული იდენტობა ან/და გენდერული თვითგამოხატვა განსხვავდება დაბადებისას მათთვის მინიჭებული სქესისგან.

ტრანსვესტიზმი (ტრანს – ლათ. vestio – ჩაცმა; სინონიმი – ტრანსვესტიზმი), საწინააღმდეგო სქესის ტანსაცმლის ჩაცმისაკენ სწრაფვა.

ტრანსექსუალობა (ტრანს + სექსი)- ადამიანის ფსიქოლოგიური სქესის მყარი შეუსაბამობა მის გენეტიკურ და გონადურ სქესთან.

ტრანსი კაცი - როგორც წესი, გამოიყენება ადამიანის მოსახსენიებლად, რომელიც ქალად არის დაბადებული, ხოლო თავს აღიქვამს და თავის გენდერს წარმოაჩენს კაცურად.

ტრანსი ქალი - როგორც წესი, გამოიყენება ადამიანის მიმართ, რომელიც მამაკაცად არის დაბადებული და თავს ქალად აღიქვამს.

ტრანსი ქალი სექს-მუშაკი - ტრანსი ქალი, რომელიც ჩართულია სექს-ბიზნესში.

ქამინგ-აუტი [ინგ.coming-out] – გამოაშკარავება, გაგებინება, ვინ ხარ შენ] – ადამიანის მიერ თავისი სექსუალური ან გენდერული იდენტიფიკატორის ნებაყოფლობითი აღიარება. ქამინგ-აუტის პროცესს **აუთინგს** ეძახიან.

ქროს დრესერი [ინგლ. cross dresser] - ადამიანი, რომელიც იცვამს მისთვის მიწერილი სქესისგან განსხვავებულ ტანსაცმელს. როგორც წესი, ტერმინი გამოიყენება კაცებთან მიმართებაში, რომლებიც ქალის ტანსაცმელს ატარებენ, მაგრამ შეიძლება სულაც არ სურდეს საკუთარი გენდერის შეცვლა. ეს ტერმინი უფრო პოლიტკორექტულად მიიჩნევა, ვიდრე "ტრანსვესტიტი".

ჰომოფობია/ტრანსფობია – ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას.

CEDAW (The Committee on the Elimination of Discrimination against Women) - ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ქალების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ კონვენციის აღსრულებას

FtM (female-to-male)- ადამიანი, რომლის ბიოლოგიური სქესი მდედრობითია, ხოლო გენდერული იდენტობა – მამრობითი. იგი სოციალურად თავს მამაკაცად წარმოაჩენს და ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, გადის ფიზიკურ ცვლილებებს ჰორმონული თერაპიისა და ქირურგიის მეშვეობით. ზემოხსენებული აბრევიაცია გამოიყენება, როგორც სიტყვა "ტრანსსექსუალის" თანხლებით, ისე მის გარეშე.

MtF (male-to-female) - ადამიანი, რომლის ბიოლოგიური სქესი მამრობითია, მაგრამ გენდერული იდენტობა მდედრობითი. ის სოციალურად ქალად წარმოაჩენს თავს და ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის გადის ფიზიკურ ცვლილებებს ჰორმონებისა და ქირურგიის მეშვეობით. ზემოხსენებული აბრევიაცია გამოიყენება როგორც სიტყვა "ტრანსსექსუალის" თანხლებით, ისე მის გარეშე.

შესავალი

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა დღესდღეობით ძნელად მიღწევად მიზანს წარმოადგენს. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი სხვადასხვა ნიშნით მიკუთვნებული ადამიანებისათვის, იქნება ეს რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური უმცირესობები, თუ სხვა. პრობლემა მწვავე და თითქოს უხილავია ისეთი მოწყვლადი ჯგუფების კუთხით, როგორცაა სექს-მუშაკი ქალები და ტრანს სექს-მუშაკი ქალები. მათი ყოველდღიური ცხოვრება თანაარსებობაშია უფლებრივ და ადამიანის ღირსების შემლახველ გარემოსთან, იქნება ეს ოჯახის, სხვადასხვა სტრუქტურების (მალოვანი სტრუქტურები, რელიგიური ჯგუფები, სამართლებრივი ინსტიტუტები, სხვა), კლიენტებისა და სამუშაო გარემოს დონეზე, ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და სამედიცინო სერვისების მიღების დროს და სხვა. განსაკუთრებით რთულად დგას საკითხი ტრანს სექს-მუშაკი ქალებისათვის. მათთვის პრობლემაა საკუთარი თავის გამოხატვა და ამის გამო ისინი იძულებული არიან, იცხოვრონ საზოგადოების ფართო მასებისთვის ბუნებრივად ხელმისაწვდომი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილის გარეშე, როგორცაა: საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, საჯარო სივრცეში დღის შუქზე ტრანს-ქალის ფორმით გამოსვლა (ასეთის არსებობის შემთხვევაში იძულებულნი არიან, მოითმინონ შეურაცხმყოფელი მიმართვები გამვლელებისაგან), სამუშაოს მოძიება და სხვა.

ეს გარემოება ცალსახად აჩენს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის დარღვევას, სადაც საუბარია იმაზე, რომ: ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში¹.

როდესაც ვსაუბრობთ ლბტ ჯგუფზე, თემზე, პოპულაციაზე, უპირველეს ყოვლისა, გათვითცნობიერებული უნდა ვიყოთ, თუ რა იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ, ვინ არიან ადამიანები, რომლებიც ერთიანდებიან ამ დასახელებით და როგორ არის ადაპტირებული გარემო მათ საჭიროებებზე.

აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს, ქვეყანაში დაგროვილი ინფორმაციის, ცოდნის, პრაქტიკის და მტკიცებულებების საფუძველზე აღწეროს ლბტ და სექს-მუშაკი ქალების, მათ შორის ტრანს სექს-მუშაკი ქალების მდგომარეობა საქართველოში, მათ და სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევები.

¹ <http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>

ლბტ თემი

ლბტ არის ქოლგა ტერმინი, რომელმაც გააერთიანა სხვადასხვა მახასიათებლის მქონე ჯგუფები: ლესბი, ბისექსუალი ქალები და ტრანსგენდერები (ტრანს-ქალი ან ტრანს-კაცი). ამ ჯგუფებში ბიოლოგიურად ქალი ადამიანები ერთიანდებიან (განსხვავებაა მხოლოდ ჯგუფი „ტრანსი ქალები“, რომელიც შედგება თვითაღქმული და თვითიდენტიფიცირებული ქალებისგან, რომლებიც ბიოლოგიურად საპირისპირო სქესის ნიშნებს ატარებენ) და ეს ნიშანი ხდება განმსაზღვრელი მათი მომატებული მოწყვლადობის და მათ მიმართ მომატებული ძალადობის გამოვლინების. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ ექსპერტი ნათია გვიანიშვილი ინტერვიუში აღნიშნავს „ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2012 წლის მონაცემებით, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ყოველი მე-5 ლესბოსელი და ბისექსუალი ქალი იყო, 2014 წლის მონაცემებით – ყოველი მე-4. ერთი მხრივ, ძალადობა თითქოს შემცირდა, მაგრამ 2014-ში, 2012-თან შედარებით, გეი და ბისექსუალ მამაკაცებთან შედარებით, ქალების მიმართ ფიზიკური ძალადობის მაჩვენებელმა 8%-ით იმატა.“² გვიანიშვილის თქმით „ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში კიდევ უფრო რთულია. ისინი სიტყვიერი თუ ფიზიკური აგრესიის ერთ-ერთი პირველი სამიზნეები ხდებიან.... ეს იმიტომ ხდება, რომ ტრანსგენდერი ადამიანების იდენტობა არის უფრო ხილვადი, ვიდრე ლესბი, გეი და ბი ადამიანების შემთხვევაში იმის გამო, რომ მათ სჭირდებათ, გარეგნობა შინაგან თვითაღქმას მოუსადაგონ.“³

საქართველოში ლბტ ქალები ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან - როგორც მათი სქესის, ასევე სექსუალური ორიენტაცია/გენდერული იდენტობის მიხედვით. ამ დისკრიმინაციასა და ლბტ ქალების მიმართ ძალადობას ღრმა ფესვები აქვს: დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპები, გამეფებული კონსერვატიული საზოგადოებრივი ნორმები, ხარვეზები კანონმდებლობასა და სახელმწიფო პოლიტიკაში.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საქართველოში გაუმჯობესდა სამართლებრივი გარემო, შემუშავდა და ძალაში შევიდა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი (მაგალითად, „საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ“⁴, „საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“⁵ და სხვა). მაგრამ, პარალელურად, "არატრადიციული" სექსუალობა პოლიტიკური სპეკულაციის ობიექტად იქცა. სახელმწიფომ ვერ მოახერხა ეფექტური მექანიზმების შექმნა პრაქტიკაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. დღემდე არ წარმოებს სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ჰომოფობიის საფუძველზე ჩადენილი სიძულვილის დანაშაულების შესახებ, რაც ამ მიმართულებით

² ინტერვიუ ნათია გვიანიშვილთან (ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი) - <https://17maisi.com/2015/07/15/lgbt-20/>

³ ინტერვიუ ნათია გვიანიშვილთან (ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი) - <https://17maisi.com/2015/07/15/lgbt-20/>

⁴ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>

⁵ საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687>

უდანაშაულობის შეგრძნებას უტოვებს ძალადობის სუბიექტებს და ლბტ ქალების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრების, თვითდამკვიდრების და თვითგამოხატვის შეზღუდვას განაპირობებს. ქვეყანაში ხარვეზია სტატისტიკური მონაცემების შეგროვების კუთხით გენდერული ძალადობის სიტუაციის აღსაწერად. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში მითითებულია „უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლისგან განსხვავებით, ანგარიშის მომზადებისას მთავარ პრობლემას წარმოადგენდა გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციის სრულად და დროულად მოწოდება, რაც, გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის კუთხით თანამშრომლობისათვის ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯია და მიანიშნებს იმაზე, რომ ინფორმაციის შეგროვებისა და გაანალიზების კუთხით არსებობს სისტემური ხარვეზი. ...შესწავლის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო ბაზა, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი ძალადობის ფაქტები იქნება გაანალიზებული და შეფასებული“⁶.

როგორც ეს აისახა CEDAW-ის 2014 წლის ანგარიშში⁷ საქართველოსთან მიმართებაში, „ნათელია, რომ ლბტ ქალები ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული და უხილავი საზოგადოებაა“.

ლბტ თემი რამდენიმე სხვადასხვა თემის ერთიანობაა და ეს ცალკეული ჯგუფები, თავისი ინდივიდუალური მახასიათებლებით, განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ანგარიშში ჩვენ ვსაუბრობთ თემზე, როგორც ერთიანზე, და მათ ზოგად საჭიროებებსა და მდგომარეობაზე, რასაც ისინი იზიარებენ, უნდა გვახსოვდეს, რომ ცალკეული ქვეჯგუფის საჭიროება და პრობლემები შეიძლება გარკვეულად სპეციფიური იყოს.

ლესბი, ბისექსუალი, ტრანსი - განმარტებები და ისტორია

ლესბი

ჰომოსექსუალ ქალს ლესბოსელს უწოდებენ. ტერმინი მომდინარეობს ბერძნული კუნძული ლესბოსის სახელწოდებიდან, სადაც დაიბადა პოეტი საფო.⁸ ლესბი ურთიერთობა მრავალ ისტორიულ წყაროში აღწერილი მოვლენაა. უშუალოდ ცნება ლესბოსელი დამკვიდრდა მე-20 საუკუნეში. მიჩნეულია, რომ ზოგადად, ქალთა ჰომოსექსუალობის სიხშირე მერყეობს 1-დან 3%-მდე⁹. თუმცა, შესაძლებელია, ეს მონაცემები საკმაოდ შემცირებული იყოს, რადგან კაცისგან განსხვავებით, ლესბოსელი ქალისთვის შედარებით ადვილია, დამალოს თავისი

⁶ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2017 - <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/qalta-uflebrivi-mdgomareoba-da-genderuli-tanasworoba2.page>

⁷ *Rights of LBT Women in Georgia - Shadow Report for CEDAW (2014)* - http://women.ge/data/WISG_LBT-women-in-Georgia_CEDAW-58th-session.pdf

⁸ *Sappho of Lesbos* - <https://www.thoughtco.com/sappho-of-lesbos-biography-3530337>

⁹ *Shankle, Michael D. (2006). The Handbook of Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender Public Health: A Practitioner's Guide To Service.*

სექსუალური ორიენტაცია და მისი ხილვადობა საკმაოდ დაბალია. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჰომოსექსუალობა ან ჰომოსექსუალური ქცევა ფსიქიკური ავადმყოფობის გამოვლენად ითვლებოდა, ამიტომ, ლესბოსელი ადამიანები მალავდნენ თავის ურთიერთობას და, ჯგუფის სოციუმში სუსტი ვიზუალიზაციის გამო, მისი შესწავლა და საჭიროებათა გამოკვლევა ვერ ხერხდებოდა. მე-19 საუკუნის მიწურულს, სექსოლოგებმა ჰომოსექსუალური ქცევის კატეგორიზაცია და აღწერა დაიწყეს, თუმცა, ამ საკითხში ცოდნის ნაკლებობის გამო, მისი პათოლოგიზაცია მოახდინეს. ისეთი მეცნიერები, როგორც კარლ ულრიხსი, რიჰარდ ფონ კრაფტ-ებინგი, ჰევლოკ ელისი, მაგნუს ხირშფელდი, აყალიბდნენ თავიანთ კონცეფციას ქალური ჰომოსექსუალობის შესახებ, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივ წრეებში ამ ფენომენზე საუბრები. ეს „დაავადება“ ფართოდ აღწერა ზიგმუნდ ფროიდმა და ქალურ ჰომოსექსუალობას დაარქვა „ინვერსია“, ხოლო ამ სექსუალობის მატარებელ სუბიექტებს უწოდა „ინვერტები“.

მსგავსმა მიდგომებმა გააძლიერა საზოგადოებაში ლესბოსელობის პათოლოგიზაციის პროცესი, რასაც თან სდევდა სტიგმატიზაცია, გარიყვა და ხილული ძალადობრივი მოპყრობა.

საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიულმა მიდგომამ კიდევ უფრო შეზღუდა ადამიანთა სექსუალობის რეალიზების შესაძლებლობა. ჰომოსექსუალობა გაიგივდა პოლიტიკურ დანაშაულთან და მასთან ბრძოლა პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი დანაშაული „მამათმავლობა“ ერთნაირად ანგრევდა როგორც კაცი, ასევე ქალი ჰომოსექსუალების ცხოვრებას. შედეგად, ქალები, რომლებსაც ჰომოსექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ, ან მალავდნენ თავიანთ პირად ცხოვრებას ან ეგუებოდნენ საზოგადოებისგან გარიყულის იარლიყს და ქმნიდნენ მცირე სუბკულტურებს. დიდი ხნით ლესბოსურმა სუბკულტურამ თავი შეაფარა შედარებით ნაკლებად მიუღებელ „ფემინიზმს“. საბჭოთა სახელმწიფოში ლბტ ქალების ფაქტიურად უჩინარი არსებობა საზოგადოების მხრიდან „ქალთა ჭეშმარიტი როლის სწორი გააზრების“ შედეგად აღიქმებოდა და მმართველი პოლიტიკის გამარჯვებად ითვლებოდა.¹⁰

ბისექსუალი ქალები

ისტორიულად ბისექსუალობას ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობოდა. მოვლენა ჩვენს დროშიც სუსტადაა შესწავლილი და საზოგადოებაში დღესდღეობით ამ ფენომენის გავრცელების მასშტაბების განსაზღვრა ძალიან რთულია. ზოგი მეცნიერი საერთოდ უარყოფს ბისექსუალობის არსებობას და ვარაუდობს, რომ ბისექსუალები სინამდვილეში ფარული ჰომოსექსუალები არიან და ჰეტეროსექსუალობის უკან იმალებიან. ამის წინააღმდეგ გამოდიან ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ ბუნებით ყველა ადამიანი ბისექსუალია, მაგრამ პირველად ალტერნატიულ იმპულსებს მათ ან საზოგადოება უხშობს (ჰეტეროსექსუალების

¹⁰ the Swiss lesbian magazine "die", Number 9, Fall 1998

შემთხვევაში), ან გარკვეული ადრეული გამოცდილება (ჰომოსექსუალების შემთხვევაში).¹¹ თეორიები ამ თემაზე შეიძლება მრავლად იყოს, მაგრამ ფაქტიურ ცხოვრებაში ბისექსუალი ქალები, ისევე, როგორც ლესბოსელები, მიუღებლები არიან ფართო საზოგადოებისათვის და განიცდიან დისკრიმინაციულ მოპყრობას.

ლესბი და ბისექსუალი ქალების ცხოვრება არ ყოფილა „უღრუბლო“ ყველა დროში და ყველა საზოგადოებაში. ამოსავალი წერტილი ქალთა დისკრიმინაციის გასაძლიერებლად იყო მათი „ნორმასთან შეუთავსებელი“ ქცევა და ლესბი ან ბისექსუალი ადამიანები განიხილებოდნენ ერთ კონტექსტში - ეს ითვლებოდა ავადმოყოფობად.

ტრანს ქალები

ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ტრანსგენდერი ქალები. ამ თემის შესწავლა ხელმისაწვდომი გახდა, რადგან მათი ვიზუალიზირება შედარებით აშკარა იყო.

ტრანსგენდერი არის ქოლგა ტერმინი ადამიანებისათვის, ვისი გენდერული იდენტობა ან/და გენდერული თვითგამოხატვა განსხვავდება დაბადებისას მათთვის მინიჭებული სქესისგან. ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი კატეგორიებით: ტრანსსექსუალი, ქროს-დრესერი და სხვა გენდერულად არაკომფორტული ადამიანები. ტრანსგენდერი ადამიანები საკუთარი თავის იდენტიფიკაციას შეიძლება ახდენდნენ ტრანსგენდერ ქალებად (Male to Female (MtF) — ბიოლოგიური კაცი, რომელიც ტრანზიციას გადის, როგორც ქალი) და ტრანსგენდერ კაცებად (Female to Male (FtM) — ბიოლოგიური ქალი, რომელსაც ტრანზიციას გადის, როგორც კაცი). ტრანსგენდერმა ადამიანმა შეიძლება გადაწყვიტოს, შეცვალოს საკუთარი სხეული ჰორმონულად ან/და ქირურგიული გზით. ტრანსგენდერი ადამიანები შეიძლება იყვნენ ჰეტეროსექსუალები, ლესბოსელები, გეები ან ბისექსუალები. მაგალითად, კაცი, რომელიც მამრობითი გენდერიდან ქალურ გენდერზე ტრანზიციას გადის და რომელსაც ქალები იზიდავს, შეიძლება იდენტიფიცირდეს, როგორც ლესბოსელი ქალი. ტრანსგენდერი ადამიანი თავის ფსიქოლოგიურ სქესს მყარ შეუსაბამობაში აღიქვამს მის გენეტიკურ და გონადურ სქესთან. საკუთარი სხეულისა და სასქესო ორგანოების აგებულება ტრანსგენდერის მიერ აღიქმება, როგორც არასწორი, არაბუნებრივი და, ზოგჯერ, ამას თან ახლავს ნებისმიერი გზით სქესის შეცვლისადმი სწრაფვა. ტრანსგენდერობის სიხშირე არის საშუალოდ 1: 100-200 ათას ადამიანზე.¹²

¹¹ Dynes, Wayne R (2016). *Encyclopedia of Homosexuality, Volume 2*. Routledge. ISBN 1317368126

¹² Bettcher, Talia Mae; Lombardi, Emilia (2005). "Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender/Transsexual Individuals". In Levy, Barry; Sidel, Victor. *Social Injustice and Public Health*. Oxford University Press.

ლბტ თემი და სამართლებრივი გარემო

საქართველოს კანონმდებლობა

ისტორიულად, საქართველოში არ არსებობდა რაიმე საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციასთან ბრძოლას ადეკვატურ სამართლებრივ მექანიზმს დაუქვემდებარებდა. 2014 წლის 2 მაისს ძალაში შევიდა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელშიც გაერთიანდა საერთაშორისოდ აღიარებული ყველა საფუძველი, მათ შორის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. კანონის აღსრულების მექანიზმად, სასამართლოსთან ერთად, განისაზღვრა სახალხო დამცველის აპარატი, რომლის ფარგლებშიც შექმნილმა სპეციალურმა თანასწორობის დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა დისკრიმინაციის საქმეებზე.

შედარებით ადრე, 2010 წელს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. კანონმა განსაზღვრა თანასწორობის პრინციპები ყველაზე პრობლემურ სფეროებში, მათ შორის განათლებასა და დასაქმების პროცესში. მაგრამ, კანონი არ შეიცავს სექსუალური ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე ცალკე ჩანაწერს, რის გამოც არსებული დოკუმენტით დეკლარირებული პოსტულატების გამოფრვისას შეიძლება აზრთა სხვაობის გაჩნდეს.

2012 წლამდე სისხლის სამართლის კოდექსში დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები მხოლოდ რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ და ენობრივ ნიშნებს მოიცავდა, საიდანაც ავტომატურად გამოირიცხებოდა დანაშაულები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, 2012 წლის 27 მარტიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53¹ მუხლი, რომელმაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის სიძულვილის მოტივი კოდექსში მითითებული ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა. მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, [...] ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“. ნორმის მიღება განაპირობა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) საქართველოს მიმართ 2010 წლის რეკომენდაციამ, რომელშიც ევროპულმა კომისიამ კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, განესაზღვრა რასობრივი მოტივი სისხლის სამართლის ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად.¹³

აღნიშნული ცვლილება არსებითად დადებით მოვლენად შეგვიძლია განვიხილოთ, თუმცა ნორმის პრაქტიკაში გამოუყენებლობა და არარსებული სტატისტიკა მისი ქმედითობის

¹³ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიში (2010)

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00--off-0periodika--00-1---0-10-0---0--0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about--00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL3.15.22&d=HASHefce109ccff2fedc534af.9.1>=1>

შესახებ დასაბუთებულ ექვს წარმოშობს. ამის შესახებ ნახსენებია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) 2015 წლის მოხსენებაში საქართველოს შესახებ, სადაც თავში „საქართველოსთვის სპეციფიკური საკითხები“ გაჟღერდა რეკომენდაცია „... გადაიდგას ნაბიჯები ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად.“¹⁴

2014 წელს დამტკიცდა ადამიანის უფლებათა 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა¹⁵ და 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია¹⁶. აღნიშნული დოკუმენტების მიღება წინგადადგმული ნაბიჯია, იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმა პირველი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელმაც გამოყო ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმა აღნიშნულ თემატიკას ცალკე თავს არ უთმობს და მას გენდერული თანასწორობის თავში აერთიანებს.

გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა, საქართველოში არსებობს თემატური სამთავრობო გეგმებიც (მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა).

საქართველოს კანონმდებლობა თავისი შინაარსით დისკრიმინაციული არ არის. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს, თუმცა სოგი-ს დაცულ საფუძვლებში ცალკე არ გამოყოფს; სიტყვასიტყვით წაკითხვით დებულება ამომწურავია, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრეცედენტული სამართლით ადასტურებს ჩამონათვალის ღიაობას: აღნიშნული დებულების „მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვლის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა [...] მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ სამართლებრივ სივრცეში“.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი გვხვდება ისეთ თემატურ საკანონმდებლო აქტებში, როგორებიცაა: ჯანმრთელობის შესახებ კანონი (მ. 6.1.), ზოგადი განათლების შესახებ კანონი (მ.13.3.), უმაღლესი განათლების შესახებ კანონი (მ.3.2(თ)), გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი სოგი-ს საფუძველზე გვხვდება შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტშიც, რომელშიც 2013 წლის 12 ივნისს განხორციელებული პოზიტიური ცვლილების საფუძველზე დისკრიმინაციისგან დაცვის

¹⁴ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიში (2015)
<https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf>

¹⁵ ადამიანის უფლებათა 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391005>

¹⁶ ადამიანის უფლებათა 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია - [http://gov.ge/files/428_51453_705840_Strategy-GEO\(1\).pdf](http://gov.ge/files/428_51453_705840_Strategy-GEO(1).pdf)

საზღვრები გაფართოვდა და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებიც მოიცვა.

2014 წლის 2 მაისს ცვლილება შეეხო სისხლის სამართლის კანონმდებლობასაც, კერძოდ, 142-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის) საფუძვლებს სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა დაემატა.

2012 წლის 27 მარტს, საკანონმდებლო ცვლილებით, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53¹-ე მუხლი¹⁷, რომელიც შემდეგნაირად აღწერს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას: „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“.

მაგრამ კანონების არსებობის პირობებში თანმდევი ეფექტური რეგულაციების და ამ რეგულაციების აღსრულების ნების გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ კეთილგანწყობილ სამართლებრივ გარემოზე.

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, ანტიდისკრიმინაციული კანონის ძალაში შესვლის დღიდან 2015 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით სახალხო დამცველის აპარატში შევიდა 107 საჩივარი/განცხადება, რომელთაგან 11% შეეხება განმცხადებლის სოცი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტს. მათგან საქმეების ძალიან მცირე რაოდება იქნა გამოძიებული და სამართალწაპასუხები რეალურ საფუძველზე დაყრდნობით.

კანონით გათვალისწინებული სუსტი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმისა და თანმიმდევრული, ეფექტური ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის არარსებობის პირობებში, დისკრიმინაციისაგან გამოწვეული ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა არათუ საზოგადოებრივ, ინდივიდუალურ დონეზეც თითქმის შეუძლებელი ხდება. ამგვარად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს და გააანალიზოს დაგროვილი გამოცდილება და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნული ინსტრუმენტების რეკომენდაციები და მის საფუძველზე დაგეგმოს კანონის აღსრულების მექანიზმების ქმედითობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ნაბიჯები.

საერთაშორისო შეფასება

2003 წლიდან გაეროს გენერალური ასამბლეა პერმანენტულად მოუწოდებდა

¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

სახელმწიფოებს, ყურადღება გაემახვილებინათ სოგი-ს საფუძველზე ადამიანთა გახშირებული მკვლელობების აღკვეთაზე. 2011 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო პირველი რეზოლუცია 17/19¹⁸ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, რომელშიც ღრმა მწუხარება გამოხატა ლგბტი პირთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის პრაქტიკის გამო. რეზოლუციას მოჰყვა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის პირველი ოფიციალური ანგარიში A/HRC/19/41¹⁹, სადაც კომისიამ დისკრიმინაციული პრაქტიკის ნეგატიურ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება და გამოყო დისკრიმინაციის თვალსაზრისით ყველაზე პრობლემური სფეროები, რომელთა შორის მოექცა შრომითი ურთიერთობები, ადეკვატური საცხოვრისისა და სოციალური დაცვის უფლებები. კომისიამ მიუთითა, რომ შრომით ურთიერთობაში ხშირად აღინიშნება დისკრიმინაცია ლგბტი პირთა მიმართ, რადგანაც ისინი არ ჯდებიან სქესისა და გენდერის შესახებ ბინარულ აღქმებში, რაც ასევე იწვევს შევიწროების პრაქტიკასაც.

2007 წელს მიღებული იოგიაკარტას პრინციპები²⁰ სექსუალურ ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებით, მიუთითებს, რომ ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს ადამიანის უფლებებით სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. კანონი უნდა კრძალავდეს ნებისმიერ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფდეს ყველასთვის უფლებათა თანასწორად დაცვის გარანტირებას.

გარდა აღნიშნულისა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5²¹ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე სიღრმისეულად მოიცავს დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის სახელმწიფოს გასატარებელ ღონისძიებებს და მას ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნისკენ მოუწოდებს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2016 წელს გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ, რომელიც ასახავს 2015 წელს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ქვეყანაში.

ანგარიში შეიცავს დამოუკიდებელ თავს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობრივი, დისკრიმინაციული და სხვა დამამცირებელი მოპყრობის პრაქტიკის შესახებ, რომელიც დადებითად აფასებს კანონმდებლობაში შესულ პოზიტიურ ცვლილებებს, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსში სიძულვილის მოტივის დამამძიმებელ გარემოებად ფორმულირებას, თუმცა ხაზს უსვამს აღნიშნულ ნორმათა განხორციელების სიმწირეს, რომელიც უკავშირდება როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური ნების ნაკლებობას, ებრძოლოს მსგავსი სახის დანაშაულს, ასევე პოლიციელთა გადამზადებისა და ტრენინგების არასაკმარისობას.

¹⁸ <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G11/148/76/PDF/G1114876.pdf?OpenElement>

¹⁹ http://www.ohchr.org/Documents/Issues/Discrimination/A.HRC.19.41_English.pdf

²⁰ <http://www.yogyakartaprinciples.org/principles-en/>

²¹ https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805cf40a

ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ 2016 წლის პირველ მარტს გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ. კომისია ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოში ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის სისტემურ ხარვეზებზე. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ძალადობა ლგბტ პირთა მიმართ არსებითად მასშტაბური გახდა და გამოიხატა როგორც საჯარო და კერძო სივრცეებში მომხდარ თავდასხმებში, ასევე შეკრების თავისუფლების შეზღუდვასა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წინააღმდეგ ქმედებებში. კომისია მიუთითებს, რომ საქართველოს საზოგადოებაში არსებული ჰომო/ტრანსფობიური კლიმატიდან გამომდინარე, თემის წევრები, რომელთა მიმართაც აღინიშნა ძალადობა, ხშირად არ მიმართავენ სამართალდამცავ სტრუქტურებს. ამის მიზეზად ასევე გვევლინება: დაზარალებულთა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გაცხადების საშიშროება, მხარდაჭერის ნაკლებობა, რეპრესია და, ხშირ შემთხვევაში, პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება.

ქამინგ-აუთი

ქამინგ-აუთი წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს. აუთინგი გავლენას ახდენს ჯგუფის წევრთა ზოგად კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ამცირებს სუიციდალურ იდეებსა და თვითდესტრუქციულ ქცევებს, არამედ ზრდის მათ თვითშეფასებას და სოციალურ აქტივობასაც. შესაბამისად, აუთინგის მაჩვენებელი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ჯგუფის აღწერის პროცესში.

ორგანიზაციის „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ მიერ ჩატარებული კვლევა ლგბტ ჯანმრთელობის საკითხებზე²² აჩვენებს, რომ გახსნილობის თვალსაზრისით მამაკაცები უფრო მეტ ღიაობას ავლენენ და უფრო მეტმა ადამიანმა იცის მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ვიდრე ლგ (ლესბოსელი და ბისექსუალი ქალები) ჯგუფის წევრების შემთხვევაში; მამაკაცების ჯგუფში მკვეთრი სხვაობაა აუთინგის თვალსაზრისით სხვადასხვა ჯგუფებთან (მაგ. ექიმები, პედაგოგები, ა.შ.) მიმართებაში, ქალებთან ეს მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად თანაბრადაა გადანაწილებული. თვალშისაცემია სხვაობა ჯანდაცვის სპეციალისტებთან გახსნილობის თვალსაზრისით (რიგითობის თვალსაზრისით, ეს ჯგუფი მეორეა მამაკაცებისათვის და ბოლო ადგილზე დგას ქალებისთვის. შესაბამისად: მამაკაცები - 64%, ქალები - 16%), რაც იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ქალები ნაკლებად ზრუნავენ საკუთარ ჯანმრთელობაზე და უფრო იშვიათად სარგებლობენ ჯანდაცვის სერვისებით, ვიდრე მამაკაცები. საგანმანათლებლო სფეროში და მასწავლებლებთან ქალები მამაკაცებზე მეტი ღიაობით ხასიათდებიან. ჯგუფი, რომელსაც კვლევის რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად ენდობიან, პედაგოგები/ლექტორები აღმოჩნდნენ (გბ - 6%, ლგ - 12%).

²² „LGB health needs technical report“, WISG, 2015

ლბტ ჯანმრთელობა

ჯანმრთელობის უფლება საქართველოს კონსტიტუციით არის დაცული და გამორიცხავს დისკრიმინაციას ამ უფლებით სარგებლობისას²³. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები გათვალისწინებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში²⁴, რომლის მიხედვით „არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო“. ასევე, „პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი²⁵, რომლის მიზანია მოქალაქის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის სფეროში, უზრუნველყოფს პაციენტთა პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობას.

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული არაერთი კვლევა ადასტურებს ჯანდაცვის სერვისების მიწოდებისას ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას.

2012 წელს „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის - თანადგომა“ მიერ ჩატარებული ხარისხობრივი კვლევა²⁶, რომელიც გეი/მსმ მამაკაცების და ტრანსგენდერი ქალების გამოცდილებაზე იყო ფოკუსირებული, მიუთითებს, რომ „რესპონდენტების ნაწილს სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამო გამოცდილი აქვს ცინიკური, გულგრილი დამოკიდებულება სამედიცინო პერსონალის მხრიდან, ან სმენია მსგავსი ფაქტის შესახებ სხვა მსმ-სგან“. სამედიცინო პერსონალის მხრიდან უარყოფითი, გულგრილი დამოკიდებულების მოლოდინი რიგ რესპონდენტებში იწვევს ისეთ დესტრუქციულ ქმედებას, როგორცაა არასწორი ინფორმაციის მიწოდება ექიმისთვის, რაც შემდგომ გავლენას ახდენს ექიმის მიერ მკურნალობის მეთოდის შერჩევაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ნეგატიური დამოკიდებულების მოლოდინი ადამიანებში იწვევს მკურნალობაზე უარის თქმას.

2012 წელს WISG-ის („ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“) მიერ განხორციელებული კვლევის²⁷ ფარგლებში ლბ ჯგუფში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები: ზოგადი მიმართვიანობა სამედიცინო სერვისებში არის ძალიან დაბალი. უმეტესობა ცდილობს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით მოიპოვოს და/ან მეგობარს ჰკითხოს, რომელსაც მსგავსი პრობლემა ჰქონდა და მიმართოს თვითმკურნალობას. თვლიან, რომ „კარგი“ სპეციალისტის

²³ <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

²⁴ http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblobo/30.pdf

²⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978>

²⁶ <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/1/118.pdf>

²⁷ ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012.

პოვნა საქართველოში რთულია (შეფასება „კარგი“ მოიცავს სამ კომპონენტს: ა) სპეციალისტის მაღალკვალიფიციურობა, ბ) ჯგუფის სპეციფიკის ცოდნა (სგგ-ის რისკები ქალებისათვის, რომელთაც სექსი აქვთ ქალებთან მაგ. გინეკოლოგისთვის ან ვენეროლოგისთვის), გ) ექიმის დამოკიდებულება ჯგუფის წევრთა მიმართ).

ლბ ქალებს დისკრიმინაციის გამოცდილება ჯანდაცვის სპეციალისტთა მხრიდან ნაკლებად აქვთ, რადგან ისინი ცდილობენ, არ გაამჟღავნონ ინფორმაცია საკუთარი სექსუალური იდენტობის და/ან ცხოვრების წესის შესახებ. ვისაც ნეგატიური დამოკიდებულების გამოცდილება აქვს, საუბრობენ კონფიდენციალობის დარღვევაზე ექიმის მხრიდან, და რომ ექიმი აძლევს რჩევებს იმის თაობაზე, რომ „საჭიროა ცხოვრების წესის შეცვლა“, „უკითხავს მორალს“ და აქვს არასათანადო დამოკიდებულება.

არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, კვლევის რესპონდენტების თქმით, ისინი არჩევენ, მიაკითხონ ისეთ სპეციალისტს, რომელთანაც გადამისამართებას რომელიმე მეგობრულად განწყობილი ორგანიზაცია (მაგ. WISG ან “თანადგომა”) გააკეთებს. ეს მათ მოუხსნის „ზედმეტი ახსნა-განმარტებისა და ამ საკითხებზე ექიმის ადგილზე განათლების“ პრობლემას.

2015 წელს WISG-ის მიერ ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის შესახებ ჩატარებულ კვლევაში²⁸ მონაწილე რესპონდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ არ განუცდია დისკრიმინაცია და უარყოფითი დამოკიდებულება ექიმების მხრიდან, თუმცა ეს განპირობებულია იმითაც, რომ მათი უმეტესობა თავს არიდებს ექიმთან მისვლას და თვითმკურნალობას ეწევა. ის რესპონდენტები, რომლებიც ისედაც ვერ ახერხებდნენ გარეგნობის სურვილისამებრ შეცვლას, ექიმთან მისვლის შემთხვევაში, უბრალოდ, არ ამჟღავნებენ თავიანთ გენდერულ იდენტობას. აღნიშნულს, შესაძლოა, ხელს უწყობდეს სამედიცინო პერსონალში სოგი-ს შესახებ მცდარი ინფორმაციის არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰომოსექსუალობა 1990 წლიდან ამოღებულია მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) დაავადებათა სიიდან, საქართველოში სამედიცინო პერსონალი მას კვლავ დაავადებად და გადახრად განიხილავს. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს სამედიცინო სისტემაში არსებულ მანკიერ პრაქტიკას, რომლის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კლინიკური ჩვენება, ექიმები მაინც მიმართავენ სექსუალური ქცევის ცვლილებისათვის გარკვეულ არამეცნიერულ მეთოდებს. ეს არსებითი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს აღნიშნულ „მკურნალობას“ დაქვემდებარებული ინდივიდისათვის.

„მკურნალობის“ პრაქტიკა ბევრად უფრო მწვავეა, როდესაც მას მცირეწლოვანი ადამიანი ექვემდებარება. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, „სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი მცირეწლოვანების ან მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების

²⁸ http://women.ge/data/docs/publications/WISG_Transgender_survey_2015.pdf

შეუძლებლობის შემთხვევაში – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის მიღება”. როგორც აღნიშნული ჩანაწერიდან ჩანს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მცირეწლოვანი პაციენტის მიმართ სამედიცინო ჩარევა დასაშვებია მხოლოდ პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით და 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პაციენტს სამედიცინო მომსახურება გაეწევა მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. რეალობაში სწორედ პაციენტის ახლო ნათესავი, ხშირად მშობელია ამგვარი ინტერვენციის ინიციატორი, რის გამოც ბავშვები სრულიად დაუცველები არიან ჰომოსექსუალობის იძულებითი „მკურნალობისაგან”, ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა სრულყოფილად ვერ არეგულირებს ბავშვთა დაცვის საკითხს ამგვარი სამედიცინო ინტერვენციებისგან.

ბუნდოვანია მიდგომები ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის საკითხებთან. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ტრანსგენდერობა სრულად არის მედიკალიზებული და პათოლოგიზებული და არ ითვალისწინებს ტრანსგენდერობის ფართო სპექტრს.

რაც შეეხება სქესის ქირურგიული გზით შეცვლის საკითხს, სამედიცინო თვალსაზრისით, ტრანსგენდერი ადამიანის ბიოლოგიური სქესის შეცვლის პროცედურა, პირობითად, სამ ეტაპს მოიცავს, კერძოდ, „გენდერული დისფორიის” დიაგნოზის დასმას, ჰორმონალურ თერაპიასა და ქირურგიული გზით სქესის შეცვლას.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ ტრანსგენდერ ადამიანებთან გამართული ფოკუს-ჯგუფის შედეგებიდან²⁹ ირკვევა, რომ რესპონდენტთა ნაწილს სურს ქირურგიული ოპერაცია, კერძოდ, მკერდის გადიდება, მასტექტომია, პენისის/სათესლე ჯირკვლების მოშორება, თუმცა ნაწილს არ აქვს შესაბამისი ფინანსური სახსრები; ზოგიერთ მათგანს არ აქვს გადაწყვეტილი, საერთოდ სურს თუ არა რაიმე სახის ოპერაცია, ხოლო ნაწილი თავს იკავებს, როგორც ჰორმონული თერაპიისგან, ისე ოპერაციისგან, რათა თავი აარიდონ ოჯახში კონფლიქტის წარმოშობას.

ინფორმაცია ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სპეციფიკური ჯანდაცვის მომსახურებაზე არ არის თავმოყრილი რომელიმე კონკრეტულ საინფორმაციო რესურსში, რაც განპირობებულია იმით, რომ ტრანსგენდერი ადამიანები ხშირად საკანონმდებლო ჩარჩოს მიღმა რჩებიან. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მაინც ახერხებს, დაიწყოს ტრანზიცია და, შეძლებისდაგვარად, ჰარმონიაში მოიყვანოს საკუთარი გარეგნობა თავის გენდერულ თვითაღქმასთან. გარდა იმისა, რომ ეს მათ შინაგან კომფორტს ანიჭებთ, ასევე საშუალება ეძლევათ, მეტად ინტეგრირდნენ საზოგადოებაში და უფრო დაცულნი იყვნენ მოულოდნელი ტრანსფობიური თავდასხმებისგან.

საგულისხმოა, რომ ტრანზიციის თანმდევი ქირურგიული და სხვა ტიპის სამედიცინო ჩარევები ქართული კანონმდებლობით არ იკრძალება, მაგრამ არც რეგულირდება. შესაბა-

²⁹ http://women.ge/data/docs/publications/WISG_Transgender_survey_2015.pdf

მისად, გადაწყვეტილების მიღება საკითხთან დაკავშირებით ხშირად კონკრეტული ექიმისა და კლინიკის დისკრეციაზე არის მინდობილი. აქედან გამომდინარე, სწორი ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით უბრალოდ ვერ იყრის თავს ერთად და ხშირად ტრანსგენდერთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვისაც კი ბუნდოვანია.

ზოგადად, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სპეციალისტები სარგებლობენ იმ საერთაშორისო კლასიფიკატორებით, რომლებიც წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტებს, რომელთა მიზანია მეთოდოლოგიური მიდგომების ერთიანობის და მასალების საერთაშორისო შესაბამისობის უზრუნველყოფა. დღეისათვის, მოქმედია დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-10 ვერსია (ICD-10)³⁰. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, თავი F64 აღწერს გენდერული იდენტობის დარღვევებს, რომელიც უნდა განიხილებოდეს მენტალური და ქცევითი დარღვევების საკითხად. ამ თავში ნოზოლოგიად მოხვედრილია ტრანსსექსუალიზმი (სწორად ასეთი ტერმინით აღიწერება ეს ნოზოლოგია - Transsexualism F64.0), ორმაგი როლის ტრანსვესტიზმი (Dual-role transvestism F64.1) და გენდერული იდენტობის არასპეციფიური დარღვევა (F64.9). მსგავს სახელმძღვანელო დოკუმენტში აღნიშნული ჩანაწერის არსებობა, ქვეყანაში გამეფებული სტერეოტიპების და საკითხის დაბალი ცოდნის ფონზე, კიდევ უფრო აძლიერებს სამედიცინო პერსონალის, და არამარტო, არასწორ მიდგომებს ტრანს ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ. მართალია, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის შემუშავებულ საცდელ ვერსიაში (ICD-11), რომელიც ჯერ დახვეწის რეჟიმშია და, სავარაუდოდ, ოფიციალურად წარუდგება ფართო საზოგადოებას 2018 წლის გაზაფხულზე, ეს თავი შერბილებულია და წარდგება, როგორც „გენდერული შეუსაბამობა“ კატეგორიისა „პირობები, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალურ ჯანმრთელობასთან“ და მიმოიხილავს მდგომარეობას, როგორც სინონიმს ტრანსსექსუალიზმის და გენდერული დისფორიის, მაგრამ არ ახსენებს მას, როგორც მენტალურ ან ქცევით დარღვევას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ამ საკითხის დეპათოლოგიზაციას. მაგრამ კლასიფიკატორი ჯერ არ არის შესული მოხმარებაში და გაურკვეველია მისი შიგთავსი საბოლოო რედაქციით.

სხვა საერთაშორისოდ გამოყენებადი (მათ შორის საქართველოშიც) კლასიფიკატორი არის „მენტალური დარღვევების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური მანუალი“ (Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, DSM-5)³¹, რომელსაც აქვეყნებს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაცია და 2013 წლიდან მოქმედებაშია მისი მე-5 გამოცემა. აღნიშნულ დოკუმენტში, განსხვავებით წინა რედაქციისგან, გათვალისწინებულია სტიგმატიზაციის შესაძლო გავლენა და „გენდერული იდენტობის დარღვევა“ შეცვლილია „გენდერული დისფორიით“. გარდა ამისა, ამოღებულია ამ კატეგორიის ის ქვეტიპები, რომლებიც ეფუძნებოდა სექსუალური ორიენტაციის ფორმას.

³⁰ <http://apps.who.int/classifications/icd10/browse/2010/en>

³¹ <https://www.psychiatry.org/psychiatrists/practice/dsm>

მსგავსი საერთაშორისო მიდგომები საკმაოდ კარგი გზაა ტრანს მდგომარეობათა დეპათოლოგიზაციის ხელშეწყობისთვის. და ეს ნიუანსები უნდა იქნას მიტანილი სპეციალისტებსა და ფართო საზოგადოებისთვის, რათა შემცირდეს სტიგმატიზირებული, სტერეოტიპებზე დაფუძნებული დამოკიდებულება და მიდგომები ქვეყანაში.

კიდევ უფრო ბუნდოვანია სიტუაცია ინტერსექსი ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ინტერსექსი ადამიანების აღსანიშნავად ტერმინი „ჰერმაფროდიტი“ ფართოდ გამოიყენებოდა სამედიცინო სფეროში მე-18 და მე-19 საუკუნეებში. „ინტერსექსი“ სამედიცინო ტერმინად მე-20 საუკუნეში დამკვიდრდა. სქესობრივი განვითარების დარღვევების თანამედროვე კლასიფიკაციამდე სქესობრივი მახასიათებლების ვარიაციები ინტერსექს ადამიანებში ცალ-ცალკე იყო დაჯგუფებული, მათ შორის: კონგენიტალური ადრენალური ჰიპერპლაზია, ანდროგენების უგრძნობლობის სინდრომი, გონადური დიზგენეზი, ჰიპოსპადია და ქრომოსომების უჩვეულო შემადგენლობა, როგორცაა XXY (კლინეფელტერის სინდრომი) ან XO (ტერნერის სინდრომი).

დღესდღეობით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, სქესობრივი მახასიათებლების ვარიაციები ინტერსექს ადამიანებში თავმოყრილია პათოლოგიების, დარღვევების (სქესობრივი განვითარების დარღვევები) სამედიცინო კლასიფიკაციაში (DSD).

ინტერსექს ადამიანებთან მიმართებით „კაცისა“ და „ქალის“ ბიოლოგიურ ორგანიზმებთან დაკავშირებულმა სამედიცინო ნორმებმა ჩამოაყალიბა სამედიცინო და ქირურგიული ჩარევის პრაქტიკა, მათ შორის, გენიტალიების „ნორმალიზების“ კუთხით, მაშინაც კი, როდესაც ასეთ ჩარევას აქვს კოსმეტიკური მიზანი და არ ეფუძნება სამედიცინო საჭიროებას.

ქართულ პრაქტიკაში გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის გავლის მსურველი ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ ცნობა. ეს არის დასკვნა, რომელიც მინიმუმ ერთწლიანი დაკვირვების (ეს მოიცავს როგორც გასაუბრებას ფსიქოლოგებთან, ფსიქიატრებთან და სექსოლოგებთან, ასევე სხვადასხვა ტიპის ჰორმონულ და ქრომოსომულ ანალიზებს და ექოსკოპიურ გამოკვლევებს) შემდეგ გასცემს ექიმი სექსოლოგი. ეს არის საბუთი, რომელსაც პლასტიკური ქირურგი მოითხოვს, სანამ გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის ჩატარებაზე დათანხმდება.

ორგანიზაციის „ტრანსგენდერი ევროპა“ (TGEU) შეფასებით, სქესის კვლავმინიჭების ოპერაციებისა და სტერილიზაციის მოთხოვნები ეწინააღმდეგება ადამიანის სხეულებრივი მთლიანობის უფლებას. მრავალი ტრანსგენდერი ადამიანი თანხმდება ოპერაციის შედეგად გამოწვეულ რისკებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დოკუმენტები ადეკვატურად ასახავდეს მათ გენდერულ თვითაღქმას. უფრო მეტიც, აღნიშნული მოთხოვნები სქესის ცვლილებას და გენდერული თვითგამოხატვის შესაძლებლობას გამორიცხავს იმ ტრანსგენდერ პირებთან მიმართებით, რომელთაც არ შეუძლიათ ისარგებლონ ქირურგიული ოპერაციით ან ჰორმონალური მკურნალობით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო.

ლბტ და ძალადობა

ლბტ პირებთან მიმართებით საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური და მკვეთრად ნეგატიური განწყობა ხშირად ძალადობრივ ფორმებში გამოიხატება და თემის წევრების სოციალურ იზოლაციასა და მარგინალიზაციას განაპირობებს. ჰომოფობიური და ტრანსფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულების აღკვეთისა და ეფექტიანი გამომიების მიზნით სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა არსებულ რეალობაში ტენდენციის სახეს ატარებს, რაც დაუსჯელობის სინდრომს ქმნის და ძალადობას ახალისებს.

ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ სამართალდამცავი ორგანოები არ აწარმოებენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ოფიციალურ სტატისტიკას. ეს გარემოება, ერთი მხრივ, აჩვენებს, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ხედვა და სტრატეგია, მეორე მხრივ კი, მიუთითებს, რომ სახელმწიფო გულგრილია მსგავსი ტიპის დანაშაულების პრევენციის მიმართ. სახელმწიფოს მიერ შეგროვებული და გასაჯაროებული ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მკვეთრად დაბალია და არ ასახავს რეალურად არსებულ მდგომარეობას. მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი არსებითად სამართალდამცავი ორგანოებისადმი თემის წევრების ნდობის დეფიციტით, გამომიების არაეფექტიანობის პრობლემითა და არასათანადო მოპყრობის მძიმე და ტრამვატული გამოცდილებით უნდა აიხსნას. ლგბტი ადამიანების ჩაგვრასა და დამცირებაზე პოლიციის მხრიდან არაეფექტიანი რეაგირების პოლიტიკამ თემის წევრები მრავალჯერადი ძალადობის მსხვერპლად აქცია.

სახელმწიფოსგან მიღებული ოფიციალური ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დოკუმენტირებასთან დაკავშირებით განსხვავდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული ინფორმაციისაგან. 2012 წელს წარმოებული კვლევის თანახმად³², გამოკითხული 48 რესპონდენტიდან, რომლებიც 2011-2012 წლებში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ 60.87%-ს ეს მხოლოდ ერთხელ შეემთხვა, 17.39%-ს – ორჯერ, ხოლო 21.74%-ს – სამჯერ ან მეტჯერ. 134 რესპონდენტიდან, რომელსაც ფსიქოლოგიური ძალადობა (მუქარა) განუცდია, 75.37%-ს მსგავსი ფაქტები გადახდომია სამჯერ ან მეტჯერ, 11.94%-ს – ორჯერ, ხოლო 12.69%-ს – ერთხელ.

ვერ ხერხდება საერთო მონაცემებიდან გაიფილტროს მხოლოდ ლგბტ ჯგუფის მაჩვენებლები, ამიტომ კვლევათა მონაცემებს ავსახავთ სუმარულად, თუმცა წარმოჩენილი ტენდენციები თავისუფლად ექსტრაპოლირდება აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებზე.

ორგანიზაციის „იდენტობა“ კვლევის³³ მიხედვით, 150 გამოკითხული ლგბტ ადამიანიდან 45.83%-მა თავდასხმის ადგილად ქუჩა მიუთითა, 18.75%-მა – ოჯახი, ხოლო 14.58%-მა –

³² http://women.ge/data/docs/publications/WISG_situation-of-lgbt-persons-in-Georgia_GEO-www.pdf

³³ *Social being of Gay, bisexual and transgender men; Identoba; 2013.*

ბარი/კლუბი. იქიდან გამომდინარე, რომ თავდასხმების ადგილი ყველაზე ხშირად ქუჩაა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ლგბტ პირების მიმართ ძალადობის სუბიექტებად, ძირითადად, უცხო ადამიანები გვევლინებიან. ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებად კი ცემა (58.33%) და სექსუალური იძულება (11.67%) გამოიყოფა.

ამავე კვლევის თანახმად, ლგბტ პირების მხრიდან მათი უფლებების დარღვევის ფაქტზე პოლიციისთვის მიმართვიანობა ძალიან დაბალი იყო, რაც, რესპონდენტთა შეფასებით, წარსულში პოლიციასთან ურთიერთობის ცუდი გამოცდილებით იყო განპირობებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლები კერძო ინტერვიუებში აღწერენ მათ მიმართ „კორექტირებადი გაუპატიურების“ მცდელობებს. ასეთი პრაქტიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აღიწერება და მძიმე დანაშაულად არის აღიარებული. კორექტირებადი გაუპატიურება (corrective rape) სექსუალური სახის ფიზიკური ძალადობაა - გაუპატიურება, რომელსაც ახორციელებენ მსხვერპლის შესაძლო სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის კორექტირების მიზნით, რათა აიძულონ იგი მოიქცეს გამეფებული გენდერული სტერეოტიპების შესაბამისად. ეს ითვლება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართ სახელმწიფოს არაეფექტიან პოლიტიკას ადასტურებს 2014 წლის 11 ნოემბერს მოკლული ტრანსგენდერი ქალის შემთხვევაც, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 7 აგვისტოს განაჩენით ბრალდებული პირი გაამართლა. მოსამართლემ ბრალდებულის ქმედება შეაფასა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილად. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია შესაძლო სიძულვილის მოტივი და არც საქმეში არსებულ სხვა მნიშვნელოვან მტკიცებულებებთან ერთობლიობაში გააანალიზა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებდა დასაბუთებულობის მოთხოვნას.

სახელმწიფოს მიერ ლგბტ პირთა მიმართ იგნორირების პოლიტიკის შედეგია 2013 წლის 17 მაისს განვითარებული მოვლენებისას დაკავებული 4 პირის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებაც, რომლითაც ყველა ბრალდებული პირი გამართლდა საქმეში არსებული მტკიცებულებების უკმარისობის გამო.

2012 წელს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ დაანონსებული აქცია ძალადობრივად ჩაახშვეს ჰომოფობიურმა სოციალურმა და რელიგიურმა ორგანიზებულმა ჯგუფებმა. დისკრიმინაციის საფუძველზე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევა ორგანიზაცია „იდენტობამ“ გაასაჩივრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება ევროპულმა სასამართლომ 2015 წლის 12 მაისს გამოაქვეყნა. გადაწყვეტილებაში სასამართლო უთითებს, რომ „სექსუალური უმცირესობების მიმართ საზოგადოების ნაწილის მხრიდან არსებული ნეგატიური დამოკიდებულებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მსვლელობის ორგანიზატორებმა პოლიციას წინასწარ შეატყობინეს უფლებათა შესაძლო დარღვევის შესახებ,

სამართალდამცავ ორგანოებს ეკისრებოდათ პოზიტიური ვალდებულება, დაეცვათ დემონსტრანტები, მათ შორის აპლიკანტები, რაშიც მათ მარცხი განიცადეს.” სასამართლომ აღნიშნა, რომ ლგბტ პირებთან მიმართებით საქართველოს მოსახლეობის განწყობის გათვალისწინებით, მან იცოდა, ან უნდა სცოდნოდა იმ რისკის არსებობის შესახებ, რომელიც შესაძლოა მოჰყოლოდა ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღის აღნიშვნას.

მიუხედავად წარსული გამოცდილებისა, 2013 წლის 17 მაისს არასამთავრობო ორგანიზაციების „იდენტობისა“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ორგანიზებული ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეკრება სხვა ექსტრემისტური ჯგუფების, ასევე, მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი რანგის სასულიერო პირებისა და სამღვდელოების დიდი ნაწილის მიერ ორგანიზებული კონტრდემონსტრაციის მონაწილეების მასობრივი ძალადობის გამო ვერ შედგა.

ოჯახში ძალადობა

ცალკე თემაა ძალადობა ოჯახში. ოჯახში ძალადობა, რომელიც ლგბტი პირთა მიმართ მათი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან სქესობრივი მახასიათებლების გამო ხორციელდება, შეიძლება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფორმად მივიჩნიოთ. დანაშაულით გამოწვეული სტრესი და ტანჯვა, შესაძლოა, მეტად აღემატებოდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კლასიკურ შემთხვევას, რადგანაც ამ ვითარებაში მოძალადეს წარმოადგენს ოჯახის წევრი, რომელთანაც მსხვერპლს შესაძლოა მჭიდრო ემოციური კავშირი ჰქონდეს.

საქართველოში ლგბტი პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენისათვის რაიმე კვლევა არ განხორციელებულა. შესაბამისად, მსხვერპლთა რაოდენობისა და პრობლემის მასშტაბის იდენტიფიცირება რთულია.

2012 წლის ივნისს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზება. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 11¹ და 126¹ მუხლები, რომლებმაც ოჯახში ძალადობა სისხლის სამართლის დანაშაულად ცნო და პასუხისმგებლობის ზომებიც განსაზღვრა.

ოჯახში ძალადობის საკითხს ასევე არეგულირებს 2006 წელს მიღებული სპეციალური კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. მიუხედავად კანონში გაწერილი დამცავი და შემაკავებელი ორდერების არსებობისა, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, სამართალდამცავთა მხრიდან აღინიშნება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, მოძალადესთან ნაცნობობის, ნათესაობისა თუ მეგობრობის შემთხვევაში. ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავები ავლენდნენ გულგრილობას ან ითავსებდნენ მრჩევლის

როლს. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში მსგავსი ხარვეზები ორგანიზაციის EMC მიერ ლბტ პირებთან გამართულმა ფოკუს-ჯგუფმაც გამოავლინა. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სამართალდამცავების მხრიდან გრძნობდნენ ზედაპირულ დამოკიდებულებას. გამოიკვეთა მსხვერპლთა გადარწმუნების მცდელობები და კონფლიქტის არაფორმალური გზებით მოგვარების მცდელობები.

სიძულვილის ენა

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული სიძულვილის ენის შესახებ რეკომენდაციის მიხედვით, „სიძულვილის ენა გულისხმობს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით“.

მედიაში აკუმულირებულ ჰომოფობიურ სიძულვილის ენას, რომელიც სხვადასხვა აქტორის მიერ იხმარება და ტირაჟირდება, სხვა ფაქტორებთან ერთად საფუძვლად უდევს რელიგიური დისკურსიც, რომელიც ჰომოსექსუალობას ქართული ღირებულებებისადმი შეუთავსებელ მოვლენად წარმოაჩენს. ამგვარი დისკურსების არსებობა და გაძლიერება მეტწილად არის დაკავშირებული ეკლესიის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, როლის ზრდასა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ ჩარევასთან.

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული მედიაკვლევები ადასტურებს მკვეთრად ნეგატიური გამოხატვის ნეიტრალური ენით ჩანაცვლებას, თუმცა, არსებობს პოზიტიური კუთხით გაშუქების შემთხვევებიც. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მედიასივრცეში კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება როგორც მედიის წარმომადგენლების, ისე მიწვეული სტუმრების მხრიდან გამოვლენილი სიძულვილის ენა და მკვეთრად ჰომოფობიური განწყობა, რომელიც ემსახურება ლგბტი პირებთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიზებას, რაც ლგბტი პირთა უფლებრივ განზომილებას ღირებულებას უკარგავს.

საქართველოში 2015 წლამდე სიძულვილის ენა არ იყო კრიმინალიზებული, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2015 წლის ივნისში ძალაში შევიდა ნორმა, რომელიც მოწოდებულია, გარკვეულწილად, შეზღუდოს სიძულვილის ენის გამოვლინებები საჯარო სივრცეში. რეგულირება სისხლის სამართლის კოდექსის 239-1 მუხლში აისახა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის

ძალადობრივი ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს”. ნორმის ტექსტი საკმაოდ ზოგადია და არ აკმაყოფილებს კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებს, რაც ქმნის მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა და პრაქტიკაში არასწორად გამოყენების საფრთხეს.

ჰომოფობიური გარემო

საქართველოს საჯარო სკოლებსა და საუნივერსიტეტო სივრცეებში გაბატონებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობა აძლიერებს განათლების უფლებით სარგებლობის შეზღუდვას ლგბტ თემის წევრებისთვის. შექმნილი მტრული გარემო აღნიშნული სივრციდან მათ გარიყვას იწვევს. საგანმანათლებლო სისტემაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები მეტწილად დეკლარაციული ხასიათისაა და რეალობაში ეფექტიან ინსტრუმენტებად ვერ ტრანსფორმირდება. ლგბტი თემებისადმი სენსიტიურობის დაბალი დონე და დამახინჯებული ინფორმაცია არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა განვითარებაზე და მათ მიერ ტოლერანტობასა და მიმღებლობაზე დაფუძნებული მიდგომის ჩამოყალიბებაზე.

გენდერის სამართლებრივი აღიარება

ტრანსგენდერ ადამიანთა გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი მსოფლიოში გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს. მრავალ ქვეყანაში ტრანსგენდერი ადამიანები ვერ იღებენ მათთვის სასურველი გენდერის შესაბამის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს. შედეგად, ისინი ექვემდებარებიან უფლებათა მრავალმხრივ შეზღუდვებს, მათ შორის, არსებული მარგინალიზაცია და უკიდურესი მოწყვლადობა მათ უმუშევრობის და უსახლკარობის რისკ-ჯგუფად აქცევს.

სახელმწიფოებში არსებული რეგულაციები გენდერის შეცვლის პრერეკვიზიტად ხშირად გაუმართლებელ და უსამართლო მოთხოვნებს ადგენს, მათ შორის არის განქორწინება, შეუქცევადი სტერილიზაცია, სქესის კვლავმინიჭების იძულებითი ოპერაცია და სხვა სამედიცინო პროცედურები, რომლებიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ცალსახა დარღვევას წარმოადგენს.

საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც გენდერის სამართლებრივი აღიარება სამედიცინო პროცედურებთან არის დაკავშირებული. რეალობაში არ არსებობს რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ საკითხს დეტალურად არეგულირებს და ქმნის ადეკვატურ სამართლებრივ შესაძლებლობებს იმ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის, რომელთაც სურთ, შეცვალონ სქესის შესახებ ჩანაწერი თავიანთ საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში.

დღესდღეობით, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სავალდებულოა შეუქცევადი სტერილიზაციის, ჰორმონული მკურნალობისა და წინასწარი ქირურგიული

პროცედურების გავლა, რათა პირმა ახალი პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიღება შეძლოს. სექსის კვლავმინიჭების პროცედურის სრულად გავლის შემთხვევაში პირს აქვს უფლება, ოფიციალურ დოკუმენტებში შეცვალოს მონაცემები სექსის შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში დარეგულირებულია მხოლოდ სახელისა და გვარის შეცვლის პროცედურები. საქართველოში სახელისა და გვარის ცვლილების საკითხი რეგულირდება „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონითა და „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის N18 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის 47-ე მუხლით განსაზღვრულია სახელის ან/და გვარის შეცვლისათვის წარსადგენი საბუთების ნუსხა, რომელშიც რამე სპეციფიკური მოთხოვნა არ ფიქსირდება.

პრაქტიკაშიც, ტრანსგენდერ ადამიანებს არ ექმნებათ სირთულეები სახელის ან/და გვარის ცვლილებისას, მათ ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნის გარეშე შეუძლიათ, შეიცვალონ სახელი საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში. მაგრამ სექსის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებით კონკრეტული რეგულაციები არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 18 მაისს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა სამოქალაქო აქტებში სექსის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურული წესის შემუშავება და დამტკიცება. ამ ეტაპისთვის ცვლილების საკითხი არ განხილულა.

სექს-მუშაკი ქალები და სექს-მუშაკი ტრანსი ქალები

საქართველოში სექს-მუშაკი ქალები და ტრანსი ქალი სექს-მუშაკები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ უფლებრივი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით. მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავე და არასახარბიელოა იმ ქალებისთვის (მათ შორის ტრანსი ქალებისთვის), რომლებიც ქუჩაში და/ან დაბალი/საშუალო დონის დახურულ დაწესებულებებში მუშაობენ.

2014 წელს, საერთაშორისო ფონდის კურაციო და საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომა“ მიერ ჩატარდა ქალი სექს-მუშაკების პოპულაციის ზომის შეფასების კვლევა. სხვადასხვა მეთოდით მიღებული შედეგების მიხედვით, კერძოდ: ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდი (Network scale-up - NSU), ცენსუსი (Census), ჩაჭერა-უკუჩაჭერა (Capture-recapture) და სერვისის მოხმარების კოეფიციენტის მეთოდი (service multiplier), დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქალი სექს-მუშაკების პოპულაციის ზომა წარმოადგენს 6525 ქალს. კვლევა განხორციელდა აივ/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალურ ფონდის პროექტის "აივ/შიდსის გავრცელების მხრივ მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში სარისკო ქცევის ცვლილებასა და

განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის გენერირება" ფინანსური მხარდაჭერით.

2014 წელს, ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში განხორციელდა ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა, "აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები სექს-მუშაკებს შორის", რომლის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა ძალადობის კვლევა სექს-მუშაკებს შორის. კვლევაში აღმოჩნდა სექს-მუშაკების ნაწილი, ვინც ყოფილა ფიზიკური ძალადობის (ცემა, მოხრჩობა, სხვა) მსხვერპლი ორივე ქალაქში (17.5% თბილისში და 13.3% ბათუმში). ფიზიკური ძალადობის შემთხვევათა 80%-ზე მეტი უკავშირდება ძალადობას კლიენტის მხრიდან. სექს-მუშაკების მცირე რაოდენობა თბილისში (8.8%) და ბათუმში (9.2%) აღნიშნავს, რომ ყოფილა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შანტაჟის ან დაშინების გზით, რაც კვლავ მათ კლიენტებთან არის დაკავშირებული. ძალიან მცირე წილი რესპონდენტებისა (2.5% თბილისში და 4.2% ბათუმში) ამბობს, რომ ისინი ყოფილან ძალდატანებითი სქესობრივი ურთიერთობის/გაუპატიურების მსხვერპლი. მოძალადედ დასახელდნენ კლიენტები (4 შემთხვევა), უცნობები (1 შემთხვევა) და პოლიციელი (2 შემთხვევა). ჯამში, კვლევამ დაადგინა, რომ თბილისში სექს-მუშაკების 21.3% და ბათუმში - 20.8% ყოფილა რაიმე სახის ძალადობის მსხვერპლი ბოლო ერთი წლის განმავლობაში.³⁴

არის შემთხვევები, როდესაც სექს-მუშაკი ქალები, მათ შორის ტრანსი ქალი სექს-მუშაკები პოლიციის მხრიდან ჯარიმებიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით. 2016 წელს განხორციელებულმა ხარისხობრივმა კვლევამ გამოავლინა ისიც, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არასაკმარისად არიან ინფორმირებულები საკუთარი უფლებებისა და თავდაცვის გზების შესახებ, განსაკუთრებით მოწყვლადები ხდებიან ძალადობის სხვადასხვა ფორმების მიმართ (ფიზიკური ძალადობა, შანტაჟი და სხვა).³⁵

ხშირია სექს-მუშაკი ქალების, მათ შორის სექს-მუშაკი ტრანსი ქალების სამუშაო ადგილებზე თავდასხმები, ძალადობა და სხვადასხვა ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები კლიენტებისა თუ გამვლელების მხრიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსი ქალი სექს-მუშაკების ინფორმირებულობა საკუთარ უფლებებზე გაცილებით მაღალია და სხვადასხვა სათემო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული იურიდიული მხარდაჭერა გაცილებით ხელმისაწვდომია მათთვის, ვიდრე

³⁴ კვლევა განხორციელდა აივ/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტის "აივ/შიდსის გავრცელების მხრივ მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში სარისკო ქცევის ცვლილებასა და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის გენერირება" ფარგლებში, საერთაშორისო ფონდ კურაციოსა და საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომა“ მიერ. <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/1/146.pdf>

³⁵ Consultation Report – GEORGIA “SMALL GROUP DISCUSSIONS AMONG YOUNG KEY POPULATIONS AT HIGHER RISK OF HIV INFECTION ON ACCESS TO AND AVAILABILITY OF SRH/HIV SERVICES” _UNFPA, 2016

სექს-მუშაკი ქალებისათვის. არაერთი შემთხვევა არის დაფიქსირებული სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“ ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ძალადობის შესახებ, რასაც ვერ ვიტყვით სექს-მუშაკ ქალებთან მიმართებაში.

პროსტიტუციასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კანონმდებლობით პროსტიტუცია განეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ისჯება ჯარიმით. სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება არასრულწლოვანთა პროსტიტუციაში ჩართვა, პროსტიტუციაში იძულებით ჩართვა (მუქარა, შანტაჟი, მოტყუება) და პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა. კერძოდ:

- არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე (მუხლი 171, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).
- პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით, ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე (მუხლი 253, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).
- იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე (მუხლი 253, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).
- პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე (მუხლი 254, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).

სექს-ბიზნესის სტრუქტურა და სპეციფიკა

საქართველოს დიდ და პატარა ქალაქებში სექს-ბიზნესის განსხვავებული სტრუქტურაა. მაგალითისთვის, ისეთ პატარა ქალაქებში, როგორცაა, ქ. თელავი და ქ. ზუგდიდი, სექს-მუშაკების თავშეყრის (სამუშაო) ადგილები განსხვავებულია დიდი თუ საშუალო ზომის ქალაქებისგან, როგორცაა თბილისი, ქუთაისი და ბათუმი. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს პატარა ქალაქებში ქუჩის სცენის არარსებობაში. პატარა ქალაქებში სექს-მუშაკები უპირატესად მუშაობენ სახლებიდან და/ან სავაჭრო ჯიხურებიდან. ხოლო დიდ და საშუალო ზომის ქალაქებში სექს-ბიზნესის სტრუქტურა მრავალფეროვანია, კერძოდ: ქუჩა, საუნა, სასტუმრო, ბარ-რესტორანი, ბორდელი, სახლი (მობილურ ტელეფონზე გამოძახებით, ონლაინ ჩათით). თითოეული კატეგორიის აღწერა მოყვანილია ქვემოთ:

ქუჩის სპეციფიკის მიმოხილვა - ღია სისტემა, იერარქიულად ყველაზე დაბალი საფეხურია. ამ კატეგორიის სექს-მუშაკები მიეკუთვნებიან სოციალური, ეკონომიკური და ინტელექტუალური განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურს. არ აქვთ სტრუქტურა, მუშაობენ დამოუკიდებლად, ყოველგვარი „პატრონისა“ და დაქვემდებარების გარეშე. სამუშაო ადგილზე ძირითადად დაჯგუფებულები არიან მცირე სუბკულტურებად („კუტოკებად“).

საუნის სპეციფიკის მიმოხილვა – იყოფა ორ ძირითად კატეგორიად:

1. საუნები, სადაც სექს-მუშაკები არ იმყოფებიან მუდმივად. ამ კატეგორიის საუნებში სხვადასხვა ადგილებზე მომუშავე სექს-მუშაკებს (ქუჩა, ბარ-რესტორანი და სხვა) მოჰყავთ თავისი კლიენტები სერვისის მისაწოდებლად. ისინი არ ექვემდებარებიან საუნის მეპატრონეს, თუ ადმინისტრაციულ წესებს და არ არიან ანგარიშვალდებულნი მათ მიმართ. იხდიან მხოლოდ იმ თანხას, რაც შედის საუნის საათობრივ, თუ სხვა მომსახურებაში (ბარი, თეთრეული და სხვა).
2. საუნები, სადაც სექს-მუშაკები მუდმივად იმყოფებიან. ეს კატეგორია არის იერარქიულად უფრო მაღალი დონე. ჰყავთ დაწესებულების მეპატრონე, ხშირ შემთხვევაში სუტენიორი, მუშაობა სტრუქტურირებულია, მიეკუთვნებიან სოციალური, ეკონომიკური და ინტელექტუალური განვითარების შედარებით მაღალ საფეხურს. ამ კატეგორიაშიც არსებობს ადმინისტრაცია (უშუალოდ საუნის მფლობელი ან დაქირავებული პირი), რომელთან შეთანხმებითაც ხდება სექს-მუშაკის სამუშაო პირობების განსაზღვრა. აქ არსებული დაცვის სამსახური უზრუნველყოფს როგორც დაწესებულების, ასევე სექს-მუშაკების უსაფრთხოებას. სერვისის მიწოდება ხდება ადგილზე (ხშირ შემთხვევაში სექს-მუშაკები გაფორმებული არიან, როგორც მასაჟისტი, მიმტანი ბარში და სხვა დამხმარე პერსონალი).

სასტუმროს სპეციფიკის მიმოხილვა - იხ. საუნას სპეციფიკა.

ბარ-რესტორნის/დისკოთეკის სპეციფიკის მიმოხილვა - ასევე სტრუქტურირებული სისტემაა. განსხვავებით საუნისა და სასტუმროსაგან, აქ არ ხდება სექს-მუშაკის მიერ კლიენტისათვის სერვისის მიწოდება. ეს არის ადგილი მხოლოდ კლიენტის მოძიებისა და დაკონტაქტებისათვის (ამ კატეგორიაშიც, მომუშავე სექს-მუშაკების უმრავლესობა გაფორმებულია მიმტანებად, მოცეკვავეებად და სხვა დამხმარე პერსონალად).

ბორდელის სპეციფიკის მიმოხილვა – იერარქიულად ყველაზე მაღალი დონეა, წარმოადგენს დახურულ სისტემას, ჰყავს მეპატრონე და მომსახურება ხდება ადგილზე.

სახლის სპეციფიკის მიმოხილვა - იყოფა ორ ძირითად კატეგორიად:

1. სექს-მუშაკები კლიენტებს ემსახურებიან ადგილზევე. უმეტესწილად ასეთი სცენა გვხვდება რეგიონებში.
2. მობილურ ტელეფონზე გამოძახებით, ან ონლაინ ჩათით. ცალკე უნდა გამოვყოთ სექს-მუშაკების ეს ჯგუფი, რომელთანაც კლიენტის დაკავშირება ხდება ტელეფონის ან

ინტერნეტის საშუალებით. ისინი კლიენტებს სერვისს აწვდიან საუნებსა და სასტუმროებში და არ ექვემდებარებიან დაწესებულების მეპატრონეს.

შენიშვნა: იმის გამო, რომ ხშირია კომერციულ სექს-მუშაკთა მიგრაცია ერთი ადგილიდან მეორეში, მკვეთრი ზღვარის გავლება სექს-მუშაკთა კატეგორიებს შორის გაძნელებულია. მაგ. ზოგი კატეგორიის საუნა და ქუჩის გარკვეული ადგილი იერარქიულად ერთ კატეგორიას განეკუთვნება, და სწორედ ამ კატეგორიებს შორის ხშირია სექს-მუშაკთა მიგრაცია. თუმცა, შესაძლებელია სექს-მუშაკების სხვადასხვა იერარქიულ საფეხურებზე მიგრირება გარკვეული პირობების დაკმაყოფილების და/ან არდაკმაყოფილების შემთხვევაში.³⁶

სექს-მუშაკი ქალების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

2014 წელს, საქართველოს ორ ქალაქში, თბილისსა და ბათუმში განხორციელებული ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის შედეგების მიხედვით, სექს-მუშაკების უმრავლესობა 25 წელზე მეტი ასაკისაა, და მათი უდიდესი წილი მიეკუთვნება „40+“ ასაკობრივ ჯგუფს. უმრავლესობა ქართველია, მიღებული აქვს საშუალო განათლება, განქორწინებულია და კვლევის ქალაქში სხვა ადგილიდან არის ჩამოსული – 71.9% თბილისში და 93.3% ბათუმში. კვლევის ქალაქში სხვა ადგილიდან ჩამოსულში იგულისხმება ის, რომ სექს-ბიზნესში ჩართული ქალები ცდილობენ სამუშაოდ აირჩიონ ქალაქი, რომელიც მათი საცხოვრებელი ქალაქიდან, თუ სოფლიდან შორს არის.³⁷

სექს-მუშაკი ქალების უმრავლესობას მიღებული აქვს საშუალო განათლება, მაგრამ არ აქვთ ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებასა და ალტერნატიული შემოსავლების მოძიებას. მათი უმრავლესობა დიდ ქალაქებში არიან მიგრირებული და საკუთარი ოჯახების მატერიალურად უზრუნველყოფის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ.

ისევე როგორც სექს-მუშაკი ქალებისთვის, ტრანსი ქალი სექს-მუშაკებისთვისაც სექს-ბიზნესი წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთი წყაროს. მიუხედავად განათლებისა და პროფესიული უნარებისა, ტრანსი ქალები იძულებული არიან საკუთარი თავი ირჩიონ სექს-ბიზნესით, რადგან ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც ისინი არ არიან დამსაქმებლის წინასწარ განწყობაზე დამოკიდებულნი. „ნებისმიერ ვაკანსიაზე შემოდისა და სადღაც 80%-ით უარს მეტყვიან დასაქმებაზე. აქედან გამომდინარე ბევრი ტრანსგენდერი არის სექს-მუშაკი. იმიტომ, რომ მას არ აქვს სხვა, ალტერნატიული გზა“.³⁸

³⁶ ინტერვიუ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომა“ გასვლითი სავლეუ სამუშაოების ჯგუფის ხელმძღვანელთან

³⁷ ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა თბილისსა და ბათუმში.
<http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/1/146.pdf>

³⁸ ტრანსი ქალი სექს-მუშაკების ხარისხობრივი კვლევა, 2017 წელი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი

მსგავსი გარემოება ცალსახად არღვევს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლს, კერძოდ: ყველას აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.³⁹

სექს-მუშაკი ქალებისა და ტრანსი ქალი სექს-მუშაკების მიმართ გამოვლენილი სხვადასხვა სახის დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები

საზოგადოებაში მყარად დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და ძლიერი სტიგმის გავლენით, სექს-მუშაკი ქალებისა და ტრანსი ქალი სექს-მუშაკების უფლებები ხშირად ირღვევა არამხოლოდ სამუშაო გარემოს, არამედ ოჯახის, სხვადასხვა ინტიტუტებისა და სტრუქტურების დონეზე.

დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები სამედიცინო მომსახურების მიღებისას

სექს-მუშაკი ქალები და ტრანსი ქალი სექს-მუშაკები ხშირად განიცდიან სტიგმას და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას სამედიცინო მომსახურების მიღებისას. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი სექს-მუშაკ ტრანს ქალებთან, საკუთარი გენდერული იდენტობისა და ფემინური გარეგნობის გამო. ფინანსური ფაქტორი ასევე რთულად გადასალახი ბარიერია ჯანმრთელობაზე ზრუნვის კუთხით, რაც საბოლოო ჯამში აზრკოლებს სექს-მუშაკებს სამედიცინო სერვისებისათვის მიმართვის კუთხით და, რიგ შემთხვევებში უბიძგებს მათ თვითმკურნალობისაკენ.

დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები სამართალდამცავ სტრუქტურებთან ურთიერთობისას

ხშირია შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელი თვითონ არის მოძალადე და არა უფლებადამცველი.

2014 წელს, ორგანიზაციის „იდენტობა“ მიერ ჩატარებული ხარისხობრივი კვლევის შედეგები ავლენს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის შემთხვევებს ტრანსი ქალი სექს-მუშაკების მიმართ. კვლევის მიხედვით ხშირია შემთხვევები, როდესაც კომერციულ სექსში ჩართული ქალების, მათ შორის ტრანსი ქალი სექს-მუშაკების თავშეყრის ადგილების დაშლა ხორციელდება პოლიციის თანამშრომლების მხრიდან და, როგორც წესი, მსგავსი ქმედებები უსისტემოა და ერთგვარ პირად განწყობებსა და გადაწყვეტილებებზე არის დამოკიდებული. პოლიციის

³⁹ <http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>

მხრიდან სექს-მუშაკი ქალებისა და ტრანსი ქალი სექს-მუშაკების თავშეყრის ადგილების დაშლის მცდელობა, როგორც წესი, მთავრდება პოლიციის ბრძანებების დაუმორჩილებლობის გამო ადმინისტრაციული სასჯელით - 250-ლარიანი ჯარიმით.

საინტერესოა თავად საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციის მანდატის მიმართ. „იდენტობას“ აზრით, სამოქალაქო შეგნების ჩამოყალიბებისთვის მავნეა, ხოლო საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საშიშია, როდესაც პოლიციის თვალწინ ხდება მართლსაწინააღმდეგო ქმედება და პოლიცია ამაზე თვალს ხუჭავს, რადგან მსხვერპლი სტიგმატიზებული, მოწყვლადი, სოციალური გარიყული ჯგუფის წარმომადგენელია. ასეთი ქმედებები ლახავს მთლიანად პოლიციის საქმიან რეპუტაციას და ავტორიტეტს.⁴⁰

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში ასახულია ამავე წლის 25 ივნისს, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტრანსგენდერ ქალზე თავდასხმა, რის შედეგადაც მან სხეულის დაზიანება მიიღო. დაზარალებულმა საპატრულო პოლიცია გამოიძახა, თუმცა სამართალდამცავებს არც დამნაშავეს დაკავება უცდიათ და არც სხვა სახის რეაგირება განუხორციელებიათ. აღნიშნული ფაქტის გასაპროტესტებლად დანაშაულის ადგილას შეკრებილმა ტრანსგენდერმა ქალებმა ხელახლა გამოიძახეს ეკიპაჟი და მოითხოვეს მათგან დანაშაულზე რეაგირება. მეორე გამოძახებაზე გამოცხადებულმა ეკიპაჟმა ტრანსგენდერი ქალების პროტესტი სამართალდარღვევად ჩათვალა, ოთხი მათგანი დააკავა და შესაბამის განყოფილებაში გადაიყვანა. პოლიცია დაკავებულებს 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას ედავებოდა.⁴¹

არის შემთხვევები, როდესაც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ხდება სქესობრივი კონტაქტის მოთხოვნა ანაზღაურების გარეშე. 2014 წელს, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებით, სექს-მუშაკი ქალების 20% ამბობს, რომ ჰქონია შემთხვევა ანაზღაურების გარეშე პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სქესობრივი კონტაქტის მოთხოვნისა.

დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები საზოგადოების მხრიდან

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ განხორციელებული ხარისხობრივი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სექს-მუშაკი ქალების, მათ შორის სექს-მუშაკი ტრანსი

⁴⁰ ტრანსგენდერ სექსმუშაკთა უფლებრივი მდგომარეობის კვლევის ანგარიში. იდენტობა, 2014 წელი.

⁴¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016 წელი. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>

ქალების ნაწილი, რომლებიც ღია სივრცეში მუშაობენ, განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან, იყვნენ შეურაცხყოფილი და დამცირებული არა მხოლოდ კლიენტების, არამედ გამვლელების მხრიდანაც. მოქალაქეთა ნაწილი მიდის სექს-მუშაკების თავშეყრის ადგილებში მხოლოდ იმისათვის, რომ „დასცინონ, დაამცრონ და შეურაცხყოფა მიაყენონ სექს-მუშაკ ქალებს; განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი ტრანს ქალ სექს-მუშაკებთან“.

დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები კლიენტის მხრიდან

2014 წელს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევა ავლენს, რომ კვლევის მონაწილეთა გარკვეულ ნაწილს, ამა თუ იმ სიხშირით, გამოუცდია დისკრიმინაციისა და ღირსების შემლახველი სხვადასხვა შემთხვევები, კერძოდ:

- კლიენტის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა - 30%;
- კლიენტის მხრიდან დამცინავი დამოკიდებულება - 25%;
- კლიენტის მიერ ფიზიკური შეურაცხყოფა, ცემა - 12%.

შემთხვევათა 88%-ში რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ გამოვლენილმა დისკრიმინაციულმა და ღირსების შემლახველმა დამოკიდებულებებმა იმოქმედა მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე.⁴²

სექს-მუშაკი ქალების (მათ შორის ტრანსი ქალი სექს-მუშაკების) უმრავლესობა კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას ძირითადად თავად ცდილობს და კრიტიკულ სიტუაციაში ერთმანეთს ეხმარება. ისინი ცდილობენ, არ ჩართონ საპატრულო პოლიცია პრობლემური სიტუაციების მოგვარებაში, რადგან მოლოდინი აქვთ, რომ პატრულის თანამშრომლები ტენდენციურობას გამოიჩენენ. გარდა ამისა, გამოცდილებაში აქვთ ძველი საქმეები, რომლებიც დღემდე გაუხსნელია.

დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები მედია სივრცეში

2016 წლის საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა არაერთხელ მოახდინა რეაგირება შემთხვევებზე, როდესაც რეკლამების მეშვეობით ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციის წახალისებას, მათ შორის, გენდერული იდენტობის გამო. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს შპს „სისი ლოუნის“ მიერ გავრცელებული სარეკლამო ვიდეო რგოლი, სადაც

⁴² სექს-მუშაკების საჭიროებების გამოვლენისა და დისკრიმინაციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა. კვლევა განხორციელდა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ, ასოციაცია „ჰერა XXI“-ის მხარდაჭერით. რაოდენობრივი კვლევის გეოგრაფიული არეალი იყო ქ. ბათუმი და ქ. ფოთი. მონაწილეობდა 92 სექს-მუშაკი ქალი.

გაშარჟებულია ტრანსგენდერი ადამიანი, რომელიც, იმისათვის რომ ფული იშოვოს, პროსტიტუციას ეწევა.⁴³

ლბტ, სექს-მუშაკი ქალების და სექს-მუშაკი ტრანსი ქალების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები საქართველოში

მას შემდეგ, რაც 1990 წელს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ამოიღო ჰომოსექსუალობა დაავადებათა ნუსხიდან და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებამ პროვეროპული ფასეულობების ბაზაზე დაყრდნობით გააგრძელა სვლა, ადამიანთა სექსუალობის გამოვლინების თავისუფლების ხარისხმა იმატა და ლგბტ მოძრაობის ჩანასახები გაჩნდა.

- 2000 წელს დარეგისტრირდა ქალთა საკითხებზე მომუშავე ფემინისტური ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG), რომლის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს შეადგენენ ლესბოსელი, ბისექსუალი ქალები და ტრანსგენდერი ადამიანები. ორგანიზაციის მიზნები შემდეგია: ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა როგორც პერსონალურ, ისე ინტერპერსონალურ დონეზე; ქალთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა ადვოკატირებისა და ლობირების გზით; თანასწორობის იდეების, ფემინისტური ხედვის, ქალთა და უმცირესობათა უფლებების პოპულარიზაცია და საზოგადოებაში მათი უფლებების მიმართ პატივისცემის დამკვიდრება⁴⁴. ეს მიზნები ხელს უწყობდა თემური მოძრაობის ჩამოყალიბებას და გააქტიურებას. 2010 წელს ორგანიზაციამ ღიად გასცა პირველი გრანტი ლგბტ ჯგუფის საჭიროებებზე, რითაც კრიტიკული გამოხმაურება დაიშახურა ქართული პრესის ფურცლებზე.
- 2005 წლიდან სათემო მოძრაობა ძლიერდება და იქმნება სათემო ორგანიზაციები, რომლებიც ღია ადვოკატირებას ეწევიან ლგბტ წარმომადგენელთა უფლებების დასაცავად. „ფონდი ინკლუზივი“, „იდენტობა“, „ლგბტ საქართველო“ (დღეს უკვე „თანასწორობის მოძრაობა“), „თემიდა“ - ეს არის ორგანიზაციები, რომელთა პროგრამული ხაზი სპეციფიური მიმართულებით შეეხო ლგბტ თემის საჭიროებებს. ამ ორგანიზაციების მხარდამჭერად ერთიან პროექტებში გამოჩნდა უფლებათა დამცველი და კვლევითი ორგანიზაციები, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ არსებული სიტუაციის აღწერაში და მტკიცებულებების მოპოვება/შეგროვებაში გადადგმულიყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი;

⁴³ სახალხო დამცველის მიერ 2016 წლის ანგარიშში დაფიქსირებული შენიშვნა ტრანსგენდერი ადამიანების სტერეოტიპული და თანასწორობის საფრთხის შემქმნელი სარეკლამო ვიდეო რგოლის შესახებ.

⁴⁴ <http://women.ge/ka/about/>

- საქართველოში შემოვიდნენ უცხოური ორგანიზაციები (RFSL⁴⁵, ILGA Europe⁴⁶, COC ნიდერლანდები⁴⁷, Astraea Lesbian Foundation⁴⁸, Kvinna till Kvinna Foundation⁴⁹ და სხვა) პროექტების პარტნიორად ან დამფინანსებლის სახით და საქართველოში ლგბტ მოძრაობის საერთაშორისო ხილვადობას მიეცა ასპარეზი.

ქვეყანაში მიმდინარეობს სექს-მუშაკ ქალებზე მიმართული სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც მხარდაჭერილია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ხორციელდება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსებით. რიგ შემთხვევებში პროგრამები ხორციელდება კოალიციურად სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.

- 2004 წლიდან, მიმდინარეობს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამა, “აივ პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში - კომერციული სექს-მუშაკი ქალები, მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან და პატიმრები”. პროექტის მიზანია სგვი/აივ/შიდსის პრევენცია მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებს შორის მათი ინფორმირება/კონსულტირების, სარისკო ქცევების შემცირებისა და მათთვის ხარისხიანი სამედიცინო კონსულტაციისა და მომსახურების მიწოდების გზით. საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა", “საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაცია” და „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი“ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ახორციელებენ კომერციული სექსის მუშაკი ქალებისა და ტრანსი ქალი სექს-მუშაკების სხვადასხვა სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე უფასო ტესტირება-მკურნალობას. ამავდროულად, აქტიურად მუშაობს პრევენციული პროგრამები და სექს-მუშაკების დიდ ნაწილს ხელი მიუწვდება ისეთ პრევენციულ ღონისძიებებზე, როგორცაა: უფასო კონდომი, უფასო ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივ/შიდსზე, საგანმანათლებლო შეხვედრები, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები. მსგავსი საქმიანობები ფარავს საქართველოს ხუთ ქალაქს (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი).
- 2017 წლიდან მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „მოწყვლადი ქალების გაძლიერება დისკრიმინაციის დასაძლევად“. განმახორციელებელი კოალიციის შემადგენლობაში შედიან: საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; ალტერნატივა ჯორჯია; დემოკრატიის ინსტიტუტი. პროექტის მიზანია სექს-მუშაკი და ნარკომომხმარებელი ქალების უნარების გაძლიერება და მათი მხარდაჭერა მიმართონ და გამოიყენონ ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის მექანიზმები; მხარდაჭერა პოლიტიკის განსაზღვრაში, სერვისების

⁴⁵ <http://www.rfsl.se/>

⁴⁶ <http://ilga.org/>

⁴⁷ <http://www.coc.nl/>

⁴⁸ <http://www.astraeafoundation.org/>

⁴⁹ <http://kvinnatillkvinna.se/en/>

მონიტორინგის პროცესში, ძალადობის და დისკრიმინაციის პრევენციისთვის. პროექტის ფარგლებში სექს-მუშაკი და ნარკომომხმარებელი ქალებისთვის ფუნქციონირებს სოციალური ბიუროები და ფარავს საქართველოს სამ ქალაქს (თბილისი, ბათუმი და ქუთაისი).

- 2017 წლიდან ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“. განმახორციელებელი კოალიციის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"; "დეა"; "სდექი"; "DWO". პროექტის მიზანია, საქართველოში ძალადობის მსხვერპლი ქალების (მათ შორის სექს-მუშაკი ქალების) ისეთი სერვისებით უზრუნველყოფა, როგორცაა: უფასო იურიდიული დახმარება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, თავშესაფრებში მოთავსება, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოცენა, მსხვერპლთა უნარების გაძლიერება.
- ქვეყანაში ფუნქციონირებს სათემო ორგანიზაცია „ქალები თავისუფლებისათვის“, რომლის მიზანია საქართველოში თავისუფალი, სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
ორგანიზაცია მიმართულია სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებზე, კერძოდ: აივ+, B და C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულები, ტუბერკულოზით დაავადებულები, ნარკოტიკების მომხმარებლები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები, სექსუალური უმცირესობები და სექს-მუშაკები. ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობებია: უფლებათა დარღვევების შემთხვევების მართვა, ადვოკატირება, სათემო აქტივიზმის გაძლიერება.

დასკვნითი ნაწილი

დოკუმენტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ლგბტ და სექს-მუშაკ ქალთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის მიმოხილვა.

გამოიკვეთა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილში კვლავ მყარად არის ფესვადგმული ნეგატიური სტერეოტიპები და სტიგმა ლგბტ პირთა და ქალების (განსაკუთრებით სექს-ბიზნესში ჩართული ქალების) მიმართ. ამავდროულად, სახელმწიფოს მხრიდან ამ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები კვლავ მინიმალურია და ფორმალურ ხასიათს ატარებს. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ დისკრიმინაციის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები ლგბტ პირთა და სექს-მუშაკ ქალთა მიმართ კვლავ საკმაოდ ხშირია. დისკრიმინაციის კვლევები და საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყანაში არსებული ძლიერი ნეგატიური განწყობები ლგბტ პირთა და მათი უფლებრივი თანასწორობის საკითხების

მიმართ პირდაპირ აისახება დისკრიმინაციის ფაქტებზე, ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე.

მიმოხილვაში აღწერილია სექს-ბიზნესის სტრუქტურა და სპეციფიკა, რომელიც დროსთან ერთად შესაძლებელია განიცდიდეს მეტ-ნაკლებ ცვლილებებს. მის ფორმასა და სპეციფიკურობას განსაზღვრავს ის საკანონმდებლო გარემო და საზოგადოებრივი დამოკიდებულებები, რომელიც დროის კონკრეტულ პერიოდში არსებობს.

ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და არასათანადო ყურადღება მოწყვლადი ჯგუფების საკითხების მიმართ, განსაკუთრებით მძიმედ აისახება ლბტ, სექს-მუშაკი ქალებისა და სექს-მუშაკი ტრანსი ქალების მდგომარეობაზე. მათ მიმართ გამოვლენილ სტერეოტიპულ და დისკრიმინაციულ განწყობებს ზოგადად, ქალთა უფლებრივი კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა ერწყმის. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სექს-მუშაკი ქალები სახელმწიფოს მიერ რეგულირებული ურთიერთობების მიღმა არიან დარჩენილნი და სხვა ჯგუფებთან შედარებით მათი გამოცდილება მეტად არის უფულვებელყოფილი.

მიმოხილვიდან ჩანს, რომ, მიუხედავად ქვეყნის სამართლებრივი რეგულაციების, საერთაშორისო რეკომენდაციების და პირდაპირი მითითებების სიმრავლისა, ის დისკრიმინაციული და ადამიანის ღირსების შემლახველი გარემო, რომელშიც ლბტ და სექს-მუშაკ ქალებს უწევთ არსებობა, არ იძლევა გარანტიას მცირე (მოწყვლადი) ჯგუფების წარმომადგენლებისთვის, მათთვის კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით მინიჭებული უფლებების და თავისუფლებების რეალიზაციისთვის.

არსებული ინფორმაცია, რომელიც ეყრდნობა ორგანიზაციათა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებსა და პოპულაციებთან მუშაობის პროცესში შემთხვევათა გენერირება/აღწერის მონაცემებს აშკარას ხდის, რომ ზოგადი ჰომოფობიური, ბიფობიური, ტრანსფობიური გარემო და სხვადასხვა ინსტიტუციონალურ დონეზე (ოჯახი, სამართალდამცავი სტრუქტურები, ჯანდაცვა, განათლება და დასაქმება) გამოვლენილი ღირსების შემლახველი და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები შემთხვევათა უმრავლესობაში ყურადღების მიღმა დატოვებული, რაც აღრმავებს ლბტ და სექს-მუშაკი ქალების მოწყვლადობის პრობლემას.

მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის, როგორც სოციალური მოვლენის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოების ფართო მასებისათვის და განსაკუთრებით იმ სტრუქტურებისათვის, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა ადამიანის უფლებების დაცვა. ინფორმირებულობის დონის ამაღლება და სწავლება საჭიროა, რათა თავად სამართალდამცავები არ მოგვევლინონ ადამიანის უფლებების დამრღვევებად.

ლბტი და სექს-მუშაკი ქალების მიმართ ჩადენილ დანაშაულებსა და ძალადობის ფაქტებზე სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო რეაგირება, ერთი მხრივ, ნიჰილისტურად განაწყობს ამ

ჯგუფის წარმომადგენლებს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, მეორე მხრივ, ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო ახალისებს ძალადობას ჯგუფის წევრთა მიმართ.

ცალსახაა, რომ მსგავსი სამართლებრივი და სოციალური გარემო აბრკოლებს ლბტ და სექს-მუშაკ ქალებს იზრუნონ საკუთარი უფლებების დასაცავად, რაც უარყოფითად აისახება ცალკეული ადამიანების და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის ხარისხის მაჩვენებელზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. <http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>
- იოგიაკარტას პრინციპები. <http://www.yogyakartaprinciples.org/principles-en/>
- ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი. 2012. http://women.ge/data/docs/publications/WISG_situation-of-lgbt-persons-in-Georgia_GEO-www.pdf
- საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>
- საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687>
- საქართველოს კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978>
- საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/30.pdf
- საქართველოს კონსტიტუცია. <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016 წელი. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>
- სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2017. <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/qalta-uflebrivi-mdgomareoba-da-genderuli-tanaswroba2.page>
- სექს-მუშაკების საჭიროებების გამოვლენისა და დისკრიმინაციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2014 წელი <http://hera-youth.ge/>
- ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. 2015. http://women.ge/data/docs/publications/WISG_Transgender_survey_2015.pdf

- ტრანსგენდერ სექსუალუმი უფლებრივი მდგომარეობის კვლევის ანგარიში. იდენტობა, 2014 წელი.
- ტრანს ფოკუსირებული დისკუსია, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, თბილისი, 2017წ.
- ქალი სექს-მუშაკების პროპულაციის ზომის შეფასების კვლევა. <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/1/150.pdf>
- ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა თბილისსა და ბათუმში, 2014 წელი. <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/1/146.pdf>
- ჩაღრმავებული ინტერვიუ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან, „იდენტობა“, 2014 წელი
- Bettcher, Talia Mae; Lombardi, Emilia (2005). "Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender/Transsexual Individuals". In Levy, Barry; Sidel, Victor. *Social Injustice and Public Health*. Oxford University Press.
- Consultation Report – GEORGIA “SMALL GROUP DISCUSSIONS AMONG YOUNG KEY POPULATIONS AT HIGHER RISK OF HIV INFECTION ON ACCESS TO AND AVAILABILITY OF SRH/HIV SERVICES”_ UNFPA, 2016
- Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders (DSM-5). <https://www.psychiatry.org/psychiatrists/practice/dsm>
- Discriminatory laws and practices and acts of violence against individuals based on their sexual orientation and gender identity. Report of the United Nations High Commissioner for Human Rights. http://www.ohchr.org/Documents/Issues/Discrimination/A.HRC.19.41_English.pdf
- Dynes, Wayne R (2016). *Encyclopedia of Homosexuality, Volume 2*. Routledge. ISBN 1317368126
- International Classification of Diseases. <http://apps.who.int/classifications/icd10/browse/2010/en>
- „LGB health needs technical report“, WISG, 2015
- Needs assessment for MSM-friendly health services in Georgia. The Research Report. “Tanadgoma – Center for Information and Counseling on Reproductive Health. 2012. <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/1/118.pdf>
- Rights of LBT Women in Georgia - Shadow Report for CEDAW (2014). http://women.ge/data/WISG_LBT-women-in-Georgia_CEDAW-58th-session.pdf
- Sappho of Lesbos .<https://www.thoughtco.com/sappho-of-lesbos-biography-3530337>
- Shankle, Michael D. (2006). *The Handbook of Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender Public Health: A Practitioner's Guide To Service*.
- *Social being of Gay, bisexual and transgender men; Identoba; 2013.*
- *The Swiss lesbian magazine "die", Number 9, Fall 1998.*